საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფაქიზებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 2 მარტი. 2022 წ. №32 (9370) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ამონარიდები ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლიდან საქართველოს მთავრობის სხდომაზე

საქართველოს მოღალატე მიშნაცური ოპოზიცია უკრაინელი ხალხის უბედურებაშიც საკუთარ ანგარებას და ბინძურ მიზნებს ხედავს!

— ჩვენ ძალიან შეშფოთებით ვაკვირდებით უკრაინაში მიმდინარე ომს. მე კიდევ ერთხელ მინდა ჩვენი გულისტკივილი გამოვხატო. უკრაინაში რაც ხდება, არის აბსოლუტურად მიუღებელი, უკრაინაში შეჭრა და იქ სამხედრო მოქმედებების წარმოება, რა თქმა უნდა, მიუღებელია და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და წესებს. ამის თაობაზე ჩვენ, რა თქმა უნდა, გვქონდა ჩვენს უკრაინელ კოლეგებთან კომუნიკაცია, გამოვხატეთ სოლიდარობა და მხარდაჭერა პოლიტიკურ დონეზე. დღეს დილით, ჩემი გადაწყვეტილებით 100 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი ჩავიდა პოლონეთში, რომელიც უკრაინულ მხარეს მიეწოდა. რა თქმა უნდა, ეს ჰუმანიტარული ტვირთი არის დახმარება ჩვენი უკრაინელი ძმებისა და დებისთვის. ამას გარდა, უკრაინის მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან თბილისში და ვერ დაბრუნდნენ სამშობლოში, უფასოდ მიეწოდებათ ყველა სერვისი და მომსახურება თბილისში“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

— ჩვენ ყველა დონეზე, ყველა საერთაშორისო ფორმატში, იქნებოდა ეს ეუთოს მინისტერიალი თუ გაეროს ფორმატი, ყველა დონეზე მტკიცე მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოვხატეთ უკრაინის მიმართ. ჩემი დავალებით, საგარეო საქმეთა მინისტრმა ეუთოს მინისტერიალში მიიღო მონაწილეობა, საქართველო მიუერთდა ევროკავშირის დოკუმენტს, ამით კიდევ ერთხელ, ხაზგასმით, მკაფიოდ გამოვხატეთ უკრაინის მიმართ მხარდაჭერა და ჩვენი სოლიდარობა ვაჩვენეთ ჩვენს უკრაინელ ძმებს და დებს. ჩვენ ასევე მხარი დავუჭირეთ ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებას რუსეთისთვის უფლების შეჩერების შესახებ და რა თქმა უნდა, ეუთოს მუდმივი საბჭოს გაძლიერებულ სხდომაზე მინისტრმა დავით ზალკალიანმა ძალიან მკაფიოდ ისაუბრა საქართველოს პოზიციის შესახებ. ასევე გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციას საქართველომ 80 სხვა სახელმწიფოსთან ერთად თანასპონსორობა გაუწია.

იხ. 2 გვ.

უკრაინამ საქართველოდან ელჩი გაიწვია

უკრაინა სასწრაფოდ გაიწვევს თავიანთ **ელჩებს საქართველოდან და ყირგიზეთიდან,** — ამის შესახებ ვიდეომიმართვისას უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა.

„რაც შეეხება ჩვენს დიპლომატებს, ისინი ახლა რეალიზებას ახდენენ სავსებით სამართლიან და საჭირო გადაწყვეტილებებს იმ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, რომლებმაც უღალატეს თავიანთ სიტყვას და საერთაშორისო სამართალს. დაუყოვნებლივ ვიწვევთ ყირგიზეთიდან კონსულტაციისთვის ელჩს უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის გამართლებისთვის. ასევე, დაუყოვნებლივ ვიწვევთ ელჩს საქართველოდან მოხალისეების ხელშეშლისთვის, რომლებსაც სურთ ჩვენი დახმარება და სანქციებთან დაკავშირებით ამორალური პოზიციისთვის“, — განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

საქართველოში უკრაინის დროებითმა რწმუნებულმა ანდრეი კასიანოვმა უკრაინის პრეზიდენტის დღევანდელ განცხადებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა.

„ამას ორი საკვანძო მიზეზი ჰქონდა. პირველი — საქართველოს მთავრობის პოზიცია, რომელიც უკავშირდება სანქციებს, რომლებიც რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის გამო წესდება. მეორე — გადაწყვეტილების არმიღება, რომელიც უკავშირდება მოხალისეების გაგზავნას უკრაინაში, ჩვენი ჯარის დასახმარებლად. არსებობს კიდევ ძალიან ბევრი საკითხი, რომელიც უნდა იყოს განხილული ამ კონსულტაციების დროს“, — აღნიშნა უკრაინის დროებითმა რწმუნებულმა.

გია აბაშიძე: ყალბი, ურაპატრიოტული ლოზუნგები არაფრის მომცემია!!!

„უკრაინასთან დაკავშირებით, სანქციები არ დააწესა მოლდოვამ, თურქეთმა, აზერბაიჯანმა, ისრაელმა. რატომღაც მხოლოდ ჩვენზე „გაბრაზდა“ ზელენსკი. საქართველოდან მოხალისეების გაგზავნის ორგანიზების ნაწილში, იყო მცდელობა, რომ ჩვენ სამხედრო კონფლიქტში ჩავრთულიყავით. საქართველო ვერ ჩაერთვება სამხედრო კონფლიქტში და საღად მოაზროვნეებმა აქაც და უცხოეთშიც ეს იციან. ყალბი, ურაპატრიოტული ლოზუნგები არაფრის მომცემია! დღეს გმირობაა ჩვენი სახელმწიფოს გადარჩენა და სტაბილურობის შენარჩუნება! ზელენსკის უგუნურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით იბადება ლეგიტიმური შეკითხვები: ვინ ურჩია ამ უპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმა? უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებულმა სააკაშვილისა და ადეიშვილის კრიმინალებმა ხომ არა? ნებსით თუ უნებლიეთ, ხომ არ ხდება სააკაშვილის მეხუთე კოლონის გააქტიურება საქართველოში? რამდენიმე დღის წინ ზელენსკიმ „ტვიტერში“ ჩვენზე დაწერა და რა ზუსტად მიესადაგება მასვე ეს — მართლაც არის დრო, როდესაც მოქალაქეები მთავრობა არ არიან, მაგრამ მთავრობაზე უკეთესები არიან... დიდება უკრაინას, დიდება გმირებს!“** — წერს ანალიტიკოსი გია აბაშიძე Facebook-ზე.

დავით ზალკალიანი: აქვე, 40 კმ-ში დგანან რუსები, რამდენიმე წუთი დასჭირდებათ, რომ საქართველო თავდაყირა დააყენონ!

4

ომარ მარგველაშვილი

სიმართლე პირუთვნელად უნდა ითქვას!



5

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲔ ᲛᲘᲨᲜᲐᲪᲣᲠᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲜᲫᲣᲠ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ!

ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲔᲑᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲓᲝᲛᲐᲖᲔ

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ) **— ᲛᲘᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲕᲣᲮᲡᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲠᲝᲗ, ᲔᲬ. ᲛᲐᲠᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ, ᲓᲔᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲣᲠ ᲒᲠᲫᲝᲜᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ, ᲗᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲜᲘ�პᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲗ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲜᲐᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲘᲡ, ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲕᲮᲐᲢᲝᲗ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ, ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ, ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲗᲣ ᲡᲮᲕᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲫᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ.**

ᲩᲕᲔᲜ ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲪᲐᲓᲔᲗ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔ, 2008 ᲬᲔᲚᲡ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲣᲮᲐᲠᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲡ ᲔᲫᲔᲑᲔᲜ. ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲓᲔᲡ ᲘᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2008 ᲬᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲐᲠᲘᲓᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ �გᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ, �თᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, �თᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲪᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ Ე.Წ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ. ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ, ᲙᲐᲪᲛᲐ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲔᲠᲡ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲮᲓᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ. ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲓᲐᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲰᲐᲚᲡᲢᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲭᲐᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲤᲝᲠᲗᲮᲕᲘᲗ. ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ �გᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲕᲘᲜ ᲘᲝᲛᲐ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲝᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲒᲛᲘᲠᲛᲐ ᲯᲐᲠᲛᲐ. ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲘᲗ ᲘᲝᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲔᲡ, ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲛᲐ ᲝᲤᲘᲪᲠᲔᲑᲛᲐ. ᲙᲐᲠᲒᲐᲓ �გᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ გაქცეული მთავარსარდალი, გაქცეული სხვა პოლიტიკოსები, მთავრობის წევრები, პარლამენტარები. ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ ᲛᲐᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲨᲘᲜᲚᲐᲓ ᲩᲐᲘᲝᲭᲓᲐ ᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ, რომელიც 9 აგვისტოს გაიმართა. მაშინ, როცა ჩვენი გმირები იღუპებოდნენ ბრძოლის ველზე, ამ დროს მთავრობის წევრები, სააკაშვილის მეთაურობით ხუმრობის ხასიათზე იყვნენ. ეს ყველაფერი კარგად გვახსოვს და დღეს იგივე ხალხი გვიკიჟინებს, რომ ჩავერთოთ ომში, სანქციები დავუწესოთ თურმე რუსეთს, ომში მივიღოთ მონაწილეობა უკრაინაში!..

* * *

— ᲓᲦᲔᲡ ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲝᲛᲘ. ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲝᲛᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲘᲑᲝᲛᲑᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲩᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ, ᲓᲦᲔᲡ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ. ᲕᲗᲥᲕᲐᲗ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ეფექტური საშუალება და ისიც ვთქვათ, რომ დღეს უკრაინაში ვინ ომობს? — ომობს უკრაინელი ჯარისკაცი, უკრაინის ჯარი, ამიტომ, ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ქვეყანა და მთელი მსოფლიო დღეს ძალიან დიდი გამოწვევების წინაშეა. ამ ვითარებაში ყოველგვარი ემოცია, ყოველგვარი გაუთვლელი ნაბიჯები, გაუთვლელი სიტყვა, ქმედება არის ძალიან დიდი რისკის შემცველი და ჩვენ, როგორც ხელისუფალნი, რომელიც პასუხისმგებელნი ვართ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე, რა თქმა უნდა, მოგვეთხოვება პასუხი და პასუხისმგებელნი ვართ ყველაფერზე.

მე ჩემს გამოსვლაში, მიმართვაში ვთქვი, რომ მე, როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი არაფერს გავაკეთებ, რომელიც შეეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის ინტერესებს, არაფერს. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ეროვნული ინტერესებით ვიხელმძღვანელებ, მიუხედავად იმ რაღაც ე.წ. ოპოზიციის ნარატივისა, რომელიც ჩამოყალიბდა, რომლითაც ისინი სპეკულირებენ. კარგად გვახსოვს, თუ როგორ დაკარგა ქვეყანამ ახალი ტერიტორიები, როგორ ჩააბარა სააკაშვილმა კოდორი, რომელსაც რამდენიმე ხნით ადრე დაარქვა პროვოკაციულად ზემო აფხაზეთი და ჩააბარა ახალგორი, ასზე მეტი სოფელი და ათასობით ჩვენი მოქალაქე აქცია დევნილად ჩვენს საკუთარ მიწაწყალზე. ომის შედეგები ძალიან მძიმეა, ამან გამოიწვია, რა თქმა უნდა, აღიარება ჩვენი ძირძველი ტერიტორიების და ეს უბედურება, ეს ტრაგედია დასრულდა რუსეთის ოკუპაციით. რუსეთის ჯარმა, ბოლო შენაერთმა, 2007 წელს დატოვა ჩვენი ქვეყანა და სულ რამდენიმე თვეში აი, ამ უგუნურმა და გაუთვლელმა ემოციურმა პოლიტიკამ და პროვოკაციების ვერაცილებამ მიგვაღებინა ომი, უბედურება და ქვეყნის ნგრევა. საბოლოო ჯამში ვინ დაიჩაგრა? ისევ ხალხი, ჩვეულებრივი, უბრალო ხალხი, ის უბრალო ოჯახის შვილები, ჯარისკაცები, რომლებმაც თავი გაწირეს ჩვენი ქვეყნისთვის. დაიჩაგრა ჩვენი ქვეყანა, თაობები დაიჩაგრა და პოლიტიკოსებმა რა ქნეს? გააგრძელეს მოღვაწეობა სააკაშვილის ხელმძღვანელობით. გააგრძელეს ქვეყნის ძარცვა და მოქალაქეების ჩაგვრა, წამება, გაუპატიურება, მკვლელობა, ბიზნესების და ქონებების წართმევა. მინდა, ერთი მაგალითი მოვიყვანო — კეზერაშვილი, რომელიც მაშინ იყო თავდაცვის მინისტრი, ომის დროსაც კი რიცხავდა საკუთარ ოფშორულ ანგარიშებზე ბიუჯეტის ფულს, ჯარის, თავდაცვის ბიუჯეტის ფულს რიცხავდა ბატონი კეზერაშვილი, ყველაზე დიდი კორუმპირებული, რომელიც დღეს პროვოკაციულ „ანტიკორუფციულ მოძრაობას“ აფინანსებს ქვეყანაში!..

* * *

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲤᲝᲠᲛᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ 120 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲡᲔᲗ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲢᲧᲣᲘᲚᲗᲐᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲐᲛᲐᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ! ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, ᲝᲛᲨᲘ ᲒᲛᲘᲠᲛᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲘᲝᲛᲔᲡ, ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲡᲬᲘᲠᲔᲡ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲕᲔ ᲒᲐᲘᲥᲪᲜᲔᲜ, ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ — ᲯᲐᲠᲘ.

ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲣᲚᲘᲧᲝ, ᲩᲕᲔᲜᲘ �გᲛᲘᲠᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲪᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ �გᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲛᲐᲗ. ᲔᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, თუ რაიმეს ვამატებ, გთხოვთ, მითხარით. ამ ყველაფერს სჭირდება ძალიან კარგად გააზრება, იმ რისკებსა და საფრთხეებს, რომელიც დღეს მსოფლიოში არსებობს. ომის შემდეგ, მე მინდა ყველას შევახსენო, რომ კაპიტულანტურად მოაწერა ხელი სააკაშვილის ხელისუფლებამ რეზოლუციას და ისევ ვის დააბრალეს, ვინ დაადანაშაულეს? — ქართველი სამხედროები, სამხედრო მოქმედებების დაწყებაში. წარმოუდგენელი ღალატი. კაცმა თავისი უგუნურობით, თავისი სისულელით, პირდაპირ უნდა ითქვას, თავიდან ვერ აარიდა ქვეყანას ეს უბედურება, ნგრევა და შემდეგ კაპიტულანტურ რეზოლუციაზე მოაწერინა ხელი საკუთარ მთავრობას. აი, ეს ხალხი იბრძვის დღესაც ამ უბედურების გამეორებისთვის, მაგრამ, მე მინდა ვუთხრა მათ მკაფიოდ, მათ ერთხელ დაანგრიეს ჩვენი ქვეყანა და მეორედ ამის უფლებას ჩვენ მათ არ მივცემთ!

* * *

— ᲛᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ გავაკეთე, რომ ვეფუძნებით რა ეროვნულ, ქვეყნის ინტერესებს, ჩვენ ვთქვით, რომ არ მივიღებდით მონაწილეობას და მინდა, ეს დასაბუთება და არგუმენტები ჩვენს მოსახლეობას ავუხსნა ძალიან მოკლედ და მარტივად. მანამდე გეტყვით, რომ აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილის მთავრობა გამუდმებით და დაჟინებით ეძებდა გზებს რუსეთთან ვაჭრობის აღსადგენად და რუსეთის ბაზრის გასახსნელად. ჩვენ კარგად ვიცით ეს ყველაფერი. ბატონმა სააკაშვილმა ომის შემდეგ სულ რამდენიმე ხანში თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი ვის მიჰყიდა? რუსულ სახელმწიფო კომპანიებს, წყლის კომპანიები, ჰიდროელექტროსადგურები, სხვა ენერგეტიკული ობიექტები მიჰყიდა რუსულ სახელმწიფო კომპანიებს!

ამას გარდა, ვინაიდან ვერ მიაღწიეს ბაზრის გახსნას, სააკაშვილმა გამოსცა ბრძანებულება 2012 წელს და ცალმხრივად დაუწესა რუსეთის მოქალაქეებს უვიზო რეჟიმი, 2012 წლის თებერვალში, მაშინ როცა აქ გამძვინვარებული იყო მათი ანტირუსული რიტორიკა და ა.შ. მანამდეც იყო არაერთი ფაქტი ჩვენი სახელმწიფო კომპანიების რუსულ სახელმწიფო კომპანიებზე გადაცემისა, ეს ფაქტებია, არაფერი გაზვიადებული, ამის თაობაზე ყველამ ყველაფერი ვიცით და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ამის შემდეგ, იმისთვის, რომ მიეღწია რუსეთის ბაზრის გახსნისთვის, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას ხელი მოაწერა. მე შევახსენებ ყველას, რომ აღნიშნული პროცესი იყო გაჭიანურებული. 19 წელი დასჭირდა რუსეთს იმისთვის, რომ გაწევრიანებულიყო ამ ორგანიზაციაში და ერთ-ერთი მიზეზი იყო სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში შეუთანხმებლობა. ამ ყველაფერს ვითომ პატრიოტი სააკაშვილის ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, ხაზი გადაუსვა და ჩუმად, მალულად ხელი მოაწერა.

— პარალელურად, ჩვენ მივაღწიეთ რუსეთის ბაზრის გახსნას. მინდა, რამდენიმე მაგალითით ჩვენს მოსახლეობას შევახსენო, თუ რას ნიშნავდა ჩვენთვის რუსეთის ბაზრის გახსნა, რომელზეც სააკაშვილი ომის შემდეგ ყოველ წელს დაჟინებით მუშაობდა, მაგრამ ვერ მიაღწია. 2013-2021 წლებში საქართველოდან რუსეთში ჯამში ექსპორტირებულია 2 მილიარდი აშშ დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია. სხვა პროდუქციის ექსპორტის ჯამური ღირებულება შეადგენს 3 მილიარდ აშშ დოლარს. ეს არის 2,2 მილიონი ტონა პროდუქციის ექსპორტი. ჯამურად, მოგეხსენებათ, ღვინის ექსპორტის ღირებულებამ შეადგინა

...ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲔ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲔᲚᲘᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲜᲔᲑᲡ!..

865 მილიონი აშშ დოლარი. გახსოვთ, ეს ყველაფერი დაკეტილი იყო და გახსოვთ, როგორ ექცეოდნენ ჩვენს ფერმერებს, მევენახეებს. ქართველ კაცს, საქართველოში, რომელიც ღვინის სამშობლო და აკვანია, ვენახის გაჩეხას აიძულებდნენ. ტურიზმიდან ჩვენმა ქვეყანამ ბოლო 5 წელიწადში 3 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო შემოსავლის სახით და 5 მილიონზე მეტი რუსი ვიზიტორი შემოვიდა საქართველოში. ნურავის დაგვავიწყდება, რომ 1 მილიონი ქართველი, ჩვენი თანამოქალაქე ცხოვრობს რუსეთში და ყოველწლიურად, საშუალო გადმორიცხვების ჯამური ღირებულება დაახლოებით 500 მილიონს შეადგენს. ანუ, ჯამურად, ბოლო წლებში 3 მილიარდი შემოვიდა, რუსეთიდან გადმოირიცხა ჩვენი მოქალაქეების მხრიდან საკუთარი ოჯახების, ნათესავების დასახმარებლად და ზოგადად აქ ინვესტიციების განსახორციელებლად. ეს გამოდის 10-12 მილიარდზე მეტი ბოლო 8 წელიწადში. მინდა ვთქვა, რომ ამ ყველაფერში ჩართულია თითქმის მთელი მოსახლეობა. ათასობით მეღვინე, ექსპორტიორი, ფერმერი, ყველა არის ჩართული ამ პროცესში და ამიტომ, კითხვას ვსვამ, როდესაც საუბარია სანქციების დაწესებაზე, ანუ რას მთხოვენ, რომ საკუთარ ხალხს დავუწესოთ სანქციები? ეს ვის მოაკლდება? ეს შემოსავალი მოაკლდება ჩვენს ხალხს, ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს ეკონომიკას, დაიჩაგრება ჩვენი 1 მილიონი თანამოქალაქე, რომლებიც ვეღარ შეძლებენ ფულის გადმორიცხვას! ამიტომ, ზედმეტი ემოციები არაფრისმომცემია, პირიქით, ეს არის საზიანო ჩვენი ეროვნული ინტერესების, ჩვენი ხალხის ინტერესებისთვის.

მთავრობის მეთაურის თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მმართველობის პერიოდი არის ის ერთადერთი გამონაკლისი, როცა ქვეყანას არ ჰქონია ომი და ეს გრძელვადიანი მშვიდობა და სტაბილურობა სწორედ მიღწეულია იმ პოლიტიკის შედეგად, რომელიც დაიწყო მმართველი პარტიის დამფუძნებელმა, რომელიც გრძელდება და რომლის საბოლოო მიზანი და დიდი ოცნება არის ქვეყნის გაერთიანება და გამთლიანება.

— ეს არ არის მხოლოდ მთავრობის და ხელისუფლების საზრუნავი. ეს უნდა გახდეს თითოეული მოქალაქის ოცნება და საზრუნავი — როგორ გავაერთიანოთ ჩვენი ქვეყანა და როგორ დავაყენოთ ფეხზე. მესმის, რომ ძალიან რთული ვითარებაა ყველგან, მაგრამ ჩვენ გვჭირდება სიმტკიცე, ერთიანობა, სიმშვიდე მოსახლეობაში და ემოციების გარეშე, ცივი გონებით, გონივრული, სახელმწიფოებრივად სწორი და ეროვნული ინტერესებით მოქმედება.

— წელი დავიწყეთ ძალიან კარგად, ძალიან ძლიერად. ამ ტრენდს, ამ ტემპს სჭირდება შენარჩუნება. ამიტომ, ახლა არ არის აქ დრო იმისა, რომ გარკვეულ ოპოზიციურ რადიკალებს და მარგინალებს მივცეთ დესტაბილიზაციის საშუალება, პირიქით, უნდა გავაგრძელოთ ქვეყნის მშენებლობა, შენება და მშვიდად ვმართოთ პროცესი. მჯერა, საერთაშორისო თანამეგობრობა მიაღწევს იმას, რომ უკრაინაში დასრულდება ომი, ეს ტრაგედია და მხარეები მოილაპარაკებენ უახლოეს დღეებში...

28 თებერვალი, 2022 წ.

რა ადარდებთ ნაცებს?!

„დღეს რასაც აკეთებს „ნაციონალური მოძრაობა“ და მის მიერ დამუნათებული ე.წ. პოლიტიკოსები, უკვე ყველა ზღვარს სცდება. ყველანაირად იკვეთება, რომ ამ ხალხს მხოლოდ დესტაბილიზაცია და ქვეყნის ომში ჩათრევა ადარდებთ. მერე ნიშნის მოგებით იტყვიან, აი, თქვენც იომეთო!

უკრაინა რომ არ ადარდებთ, იმით გამოჩნდა, რომ არა მხოლოდ ჩვენი პარლამენტის რეზოლუციას არ მოაწერეს ხელი, არამედ ევრონესტის მიერ მომზადებულ რეზოლუციასაც. თურმე, ესეც სუსტი ყოფილა.

ვინც არ იცის, ევრონესტი, ეს არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის საპარლამენტო ორგანიზაცია. რომელი პარტია ხმაურობს დღეს?

პარტია, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მედიაციის მეშვეობით. შემდეგ გავიგეთ, თურმე აჭარის აბაშიძისგან გათავისუფლებაში დახმარებისთვის, მაშინდელმა პრეზიდენტმა პუტინს დაურეკა მადლობის გადასახდელად.

სააკაშვილმა ძველი „რ-2“-ის ეთერში თავად მოჰყვა, ომის წინ მედვედევს წერილი გავუგზავნე და ნატოზე უარის თქმა შევთავაზე, აფხაზეთის საფასურადო. სხვა ინფორმაციაც მაქვს ამ თემაზე.

ომის წინ ორი თავდაცვის მინისტრი რომ გამდიდრდა და ამ სქემაზე პასუხისმგებლობა პრეზიდენტსაც ეკისრება!, ის რომ ომის მოსამზადებელი, ტექნიკის შესაძენი თანხების მითვისება მოხდა, რამაც ფინანსურის გარდა უზარმაზარი ზიანი მიაყენა ქვეყანას და მსხვერპლი გამოიწვია, ფაქტია!. ვრცელი თემაა, ბევრჯერ დავწერე და კიდევ დავუბრუნდები.

ომი როგორ მართეს, ეს ცალკე უმძიმესი დანაშაულია, რომელიც ახლიდანაა გამოსაძიებელი. არ ვგულისხმობ ბრძოლის ველზე მოქმედ სამხედროებს.

ომის შემდეგ, 2008 წელს ხელი მოაწერეს, ანუ კენჭისყრაში ხმა მისცეს, საქართველოსთვის უმძიმეს რეზოლუციას და ესეც ომის კონტექსტშია გამოსაძიებელი საპარლამენტო კომისიის მიერ. აქვე, მთელი შემდეგი წლის მანძილზე ვერ მოახერხეს ტალიავინის საგამოძიებო კომისიის ჩვენთვის სასარგებლო შედეგებით დასრულება.

ომიდან ორ თვეში ცნობილი „კულტურის მინისტრის წერილი“ ხომ გახსოვთ?

კიდევ რა ნაბიჯები გადადგეს ომის შემდეგ:

რუსეთს მწვანე შუქი აუნთეს WTO-ში გასაწევრიანებლად, რის საფასურადაც ვერაფერი მივიღეთ.

ექსპრეზიდენტმა ცალმხრივად რუსეთის მოქალაქეებს უვიზო (გამარტივებული წესით) მიმოსვლა დაუწესა. ახლა სანქციებზე იხევენ იოგებს.

ამ ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ, ტურიზმი არ უნდა იყოს წამყვანი სექტორიო და ა.შ. ამ დროს, ომიდან ცოტა ხნის შემდეგ, სააკაშვილი რუს ტურისტებს დახვდა ლარსის გამშვებ პუნქტზე. სხვა ქვეყნის ტურისტებს დახვედრია?

ომის შემდეგ, კულტურის ღონისძიებების გარდა, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები დაიწყო.

ყველაზე მთავარი, მთელმა ქვეყანამ გაიგო, თუ როგორ მიჰყიდეს რუსეთს, ომის შემდეგ, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტები.

კიდევ ერთი, რაც ბევრჯერ დავწერე. 2012 წელს, მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, ალბათ არჩევნებში მხარდაჭერის მიზნით, უხვად არიგებდა ინტერვიუებს რუსეთის სააგენტოებისთვის, კონკრეტული მინიშნებებით და გზავნილებით. აქედან ყველაზე ნიშანდობლივი იყო ინტერვიუ „ეხო მოსკვისთან“, როცა პირდაპირი ტექსტით ითქვა „სააკაშვილი, საქართველოს ყველა თანამდებობის პირი, მანტრასავით იმეორებენ რუსეთთან დიალოგი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერ თემაზე, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე.

მხოლოდ ბოლო პუნქტიც საკმარისია იმისათვის, რომ ხმას აღარ იღებდნენ და თითს სხვისკენ არ იშვერდნენ. ამიტომ, კიდევ ერთხელ: თქვენ არ ხართ ხელისუფლებაში და დაიმშვიდეთ ნერვები. ყველაფერი იკითხება, რისთვისაც წვალობთ“.

ამირან სალუქვაძე,
ანალიტიკოსი

შეღავეჯის კომპლექსი 2

1940 წლის დეკემბერში მონღოლებმა დაიპყრეს კიევი.

თითქმის 800 წლის შემდეგ მსოფლიო იმავე ფაქტის განმეორების წინაშე დადგა.

არ დავიწყებ არც ისტორიიდან ამონარიდების მოშველიებას და არც მკერდში მჯიღის ცემით „პუტინ ხუილოს“ ძახილს. შევეცდები, ძალიან მოკლედ შევაფასო ჩვენი მდგომარეობა, რაც რუსული აგრესიის გაძლიერების საშიშროების ქვეშ იმყოფება.

ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფსიქოლოგიურ-ემოციური ფონი, რაც საქართველოშია და ის დადებითი, თუ უარყოფითი მხარეები, ეს ფონი რომ იწვევს.

სამწუხაროდ, გვაქვს ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მოცემულობა:

პირველი — ე.წ. ოპოზიციისა და იმათ უაზრო გამოხტომებზე აგებული პროვოკაციული ქმედებები და მეორე — პრაგმატული მიდგომა ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

პირველი გამოწვეულია იმით, რომ ჩამოყალიბდა პატრიოტიზმის გამოხატვის ახალი, ლოგიკური აზროვნებისგან ყოვლად დაცილებული სტანდარტი — თუ შენ საოკუპაციო ხაზთან შიშველ უკანალს არ ალივლივებ, თუ შენ ტელეეთერში პუტინს დედას არ აგინებ, თუ შენ კიევში სელფებს არ იღებ და გარეუბნის ბოძებზე სტიკერებს არ აკრავ, რუსეთუმე ხარ.

თუ შენ არ მოგწონს „შეშფოთება, აღშფოთება, უკმაყოფილება“ და ამგვარ იმპოტენციას კრიტიკულად უყურებ, რუსეთუმე ხარ!

თუ შენ ხედავ, რომ დასავლეთი იმეორებს 1938 წლის დანაშაულს (დიახ, სწორედაც რომ დანაშაულს და არა შეცდომას) და თავისი ქმედებით ხელს უწყობ რუსეთის ოდნავ მიძინებული იმპერიული ამბიციების გაღვიძებას, რუსეთუმე ხარ.

თუ ამბობ, რომ სააკაშვილის დავალებით მაშინდელმა ხელისუფლებამ ხელი მოაწერა კაპიტულანტურ, მოღალატეობრივ დოკუმენტს, რუსეთუმე ხარ.

ეს ძალიან მოკლე შეფასება იმ ფონის, რასაც ქმნის ის ხალხი, ვისი ნატვრა ქვეყანაში დესტაბილიზცია და ძალაუფლების ხელში ჩაგდებაა.

სამაგიეროდ არის მეორე მიმართულება, რაც არის „მშვიდად, ცივად, ეროვნული ინტერესებს გათვალისწინებით და პრაგმატულად“ მოქმედება (ირაკლი ღარიბაშვილი).

იმის გათვალისწინება, რომ უკრაინის და საქართველოს ვითარება გარკვეულწილად კი ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ საფუძველში მაინც სრულიად განსხვავდება, რადგანაც რუსეთის დამოკიდებულება უკრაინის მიმართ აბსოლუტურად განსხვავდება საქართველოსთან დამოკიდებულებით. განსხვავდება თუნდაც იმით, რომ რუსეთი უკრაინას მუდამ თავის „განაპირა“ ნაწილად აღიქვამდა და ახლაც ასე აღიქვამს.

კიდევ ბევრი რამის დაწერა შეიძლება ამასთან დაკავშირებით. შეიძლება რუსული ვერაგული და ძალაზე დამყარებული „დიპლომატიის“ მაგალითების მოყვანა. შეიძლება ყველას დამუნათება, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე შიგნით, მაგრამ ერთი კი უეჭველია — საქართველომ უნდა გადადგას ფრთხილი და გამიზნული ნაბიჯები, რადგანაც ჩვენი უახლოესი მეზობლების გუშინდელი ნაბიჯები საკმაოდ არაემოციური შეფასებებისას და პრაგმატული მოქმედებისკენ გვიბიძგებს.

ყველამ ვიცით ის ავბედითი დეპეშა, რომელიც 101 წლის წინ სერგო ორჯონიკიძემ კრემლიდან მიიღო - დასტურია, აიღე ქალაქი!

ნაცების გეგმით, რის შესახებაც ცნობილი გახდა, პირდაპირ ჩანს, რომ დასტური უკვე მიღებული აქვთ.

იხ. 4 გვ.

დავით ზალკალიანი: აქვე, 40 კმ-ში დგანან რუსები, რამდენიმე წუთი დასჭირდებათ, რომ საქართველო თავდაყირა დააყენონ!

საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ამბობს, რომ მოსალოდნელი საფრთხეები ხელისუფლებას აღელვებს და ამის შესახებ ესაუბრა უკრაინელ და ევროპელ პარტნიორებს.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მან თქვა, რომ მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს არსებული უმძიმესი მდგომარეობა.

„როდესაც საუბარია ქვეყნის მხრიდან ინდივიდუალურ სანქციებზე, პრემიერ-მინისტრმა ძალიან კარგად განმარტა, თუ რა საფრთხეებს ვხედავთ. ამაზე ვესაუბრებით ჩვენს უკრაინელ და ევროპელ მეგობრებს_ რა გგონიათ თქვენ, თქვენზე ნაკლები პატრიოტები ვართ? არავისზე ნაკლები პატრიოტები არ ვართ და ჩვენი საქმიანობით და ჩვენი ცხოვრებით გვაქვს დამტკიცებული საქართველოს ერთგულება იმ უკანონობის წინააღმდეგ, რასაც რუსული აგრესია ჰქვია საქართველოში. როგორ გგონიათ, პასუხისმგებლიანი მთავრობა, ხელისუფლება, ასეთი სიფრთხილით არ უნდა ეკიდებოდეს პროცესს? როდესაც 40 კილომეტრში, აი, აქვე დგანან. მათ არ სჭირდებათ დამატებითი მობილიზაცია — ის, რაც განახორციელეს უკრაინასთან - თვეობით კონტინგენტის მიყვანა. აქვე არიან, ავტობანიდან ჩანს მათი ოკუპაციის შედეგი. რამდენიმე წუთი დასჭირდებათ იმისთვის, რომ მთლიანად საქართველო თავდაყირა დააყენონ. როგორ გგონიათ, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, რას აპირებენ? ან როგორ აპირებენ?

ის, რომ გუშინდელი სატელეფონო საუბრის შემდეგ გამოდის ბორელი და ამბობს, რომ შემდეგი შესაძლოა, საქართველო იყოს, ეს ხომ არ არის ჰაერზე ნათქვამი სიტყვები, ეს ხომ ეფუძნება იმ გარკვეულ საფრთხეებს და მოლოდინებს, რომელიც ჩვენ გვაქვს და რომელიც ჩვენს ევროპელ პარტნიორებს აქვთ. ეს არის რომ გვალაპარაკებს, პასუხისმგებლობა თქვენ წინაშე, ჩვენი შვილების წინაშე. არ მინდა, იგივე ვიხილო საქართველოში, რაც 2008 წელს იყო. არ მინდა, ვიხილო რუსული ტანკები მომავალი თბილისის მიმართულებით, არ მინდა, ვიხილო დედაქალაქისა და აეროპორტების დაბომბვა, არ მინდა, ვიხილო ის უმძიმესი მდგომარეობა, როდესაც ქართველებს ბოდიში და სატვირთო თვითმფრინავებით აძევებდნენ რუსეთის ფედერაციიდან, არ მინდა. მე მგონია, არც თქვენ არ გინდათ“.

მეხუთე დღეა, რაც რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო ძალებით შევიდა და სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებს ატარებს. რუსეთის წინააღმდეგ შესაჩერებლად რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის აშშ-მა, ევროკავშირმა, კანადამ, დიდმა ბრიტანეთმა სანქციები დააწესეს. როგორც საქართველოს პრემიერ-მინიტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საქართველო დასავლეთის მიერ რუსეთისთვის უკრაინის გამო დაწესებულ სანქციებს არ შეუერთდება:

„არაფერს გავაკეთებ, არც ერთ გადაწყვეტილებას არ მივიღებ ისეთს, რომელიც რაიმე ფორმით დააზიანებს ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. შესაბამისად, გავეცანით ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ქმედებებს, რომელიც მოჰყვა უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებას, ვგულისხმობ ეკონომიკურ და ფინანსურ სანქციებს და მინდა, მკაფიოდ, ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო, რომ საქართველო, ჩვენი ეროვნული, ხალხის ინტერესების გათვალისწინებით არ აპირებს, მონაწილეობა მიიღოს ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებში, ვინაიდან, აღნიშნული მხოლოდ დააზიანებს, გაცილებით უფრო მეტად ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მოსახლეობას. მე, როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებელი, ეროვნულ ინტერესებზე დაყრდნობით ვიხელმძღვანელებ“.

ჭეღვეკის კოგიტეტი 2

(მესამე გვერდიდან) ესეც „საქართველოს განთავისუფლების შტაბის“ — იმავე ნაცმოძრაობის (მელია-კეზერაშვილის ფრთა) სამოქმედო გეგმა, გათვლილი უახლოეს 7-10 დღეზე:

მთავრობამ უნდა დაკარგოს ლეგიტიმაცია!

მესიჯი უნდა იყოს: როცა მმართველი ძალა კოლაბორაციონისტულად იქცევა, როცა არ ეხმარება ომში მყოფ უკრაინას, არ უერთდება სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ და ა.შ. ამიტომ, უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები

უნდა მოვახერხოთ მოსახლეობაში ბრაზის გაზრდის ხელშეწყობა, ღირსებაზე უნდა დავაჭიროთ.

მოსახლეობას ყოველ მომენტში (ბანერებით, კლიპებით, აქციაზე მიტანილი ეკრანით) დავანახოთ კავშირი 2008 წლის გორში მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვასა და კიევის სისხლისღვრას შორის. ვიზუალიზაცია უმნიშვნელოვანესია, ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ხელისუფლების ლიდერების განცხადებების აუდიოჩანაწერების ფონზე!

ბევრჯერ გავიმეოროთ და ყველას თავში ჩავუბეჭდოთ, რომ საქართველოს და უკრაინის ომი ერთი ომია და თუ საჭიროა, ამ ომში საქართველოც უნდა ჩაერთოს!

საპროტესტო აქციებზე კონცერტები და ღონისძიებები გავმართოთ უკრაინის ქოლგის ქვეშ სხვადასხვა არასამთავრობების და სახალხო მოძრაობების სახელით.

გაბრაზებული მოსახლეობის თვალში უნდა წარმოვჩინდეთ, როგორც პატრიოტული ძალა. აქციებზე არ გავაკეთოთ ზედმეტი პოლიტიკური განცხადებები, ვისაუბროთ ბრაზზე, რომელიც ხელისუფლების განცხადებებმა გამოიწვია.

ოპოზიცია უნდა გავიდეს პარლამენტიდან (თუ დეკანოიძის ჯგუფს დავარწმუნებთ), რომ ეს ლეგიტიმაციაც ჩამოსცილდეს „ქართულ ოცნებას“.

არ გავაკეთოთ განცხადება, რომ რამე უნდა შეიცვალოს ქვეყანაში, რადგან მოსახლეობის თვალში არ იქნეს აღქმული პოლიტიკურ გზავნილად

პატრიოტი, სამშობლოზე მზრუნველი მოქალაქის იმიჯით ვაკეთოთ განცხადებები, რომ ყველაფერი უნდა შეიცვალოს, რათა საქართველო არ გახდეს რუსეთის გუბერნია.

კრეატივები ახალგაზრდებისგან: მოსკოვის ბილეთების გაგზავნა ოცნების ლიდერებისთვის, წითელი საღებავები პარტიასთან და სხვა ასეთი რაღაცები თავისთავად კარგი იქნება.

ხალხში არსებული ბრაზი უფრო უნდა გაღვივდეს და მიიმართოს ხელისუფლებისკენ.

ირიბად შევეცადოთ, მოსახლეობა დავაჯეროთ, რომ რუსეთი არც ერთ შემთხვევაში არ მოახდენს საქართველოში შემოჭრას. ასეთი განცხადებებით მოსახლეობის თვალში ხელისუფლების დისკრედიტაცია და მათი სისუსტის წარმოჩენა უფრო გაადვილდება.

შესაძლებელია საპროტესტო აქციებზე საუბარი იყოს მიშას შიმშილობაზეც, რომ მან უნდა შეწყვიტოს პროტესტის უკიდურესი ფორმა და დაუბრუნდეს ჯანმრთელობის ნორმალურ მდგომარეობას. ეს უნდა გავაშუქოთ ჩვენს მედიებში, მაგრამ არა პირველ „ნიუსად“, რომ არ მოხდეს მოსახლეობის გაღიზიანება. ზოგადად უნდა მოვახერხოთ პროტესტის და ამ თემის გამიჯვნა-დისტანცირება ჩვენთან არაასოცირებული ახალგაზრდა ადამიანებით

ეს მინიმუმია, რაც შედეგისთვის საჭიროა. თუ ამ ყველაფერს განვახორციელებთ სწრაფად და ეფექტურად, უახლოეს პერიოდში შევძლებთ არსებული ვითარების ამოტრიალებას. უკრაინა ისეთ „ხოდზეა“ როგორც მინიმუმ ეს 7-10 დღე უნდა გაძლონ, რაც ჩვენ ამ გეგმებში ძალიან დაგვეხმარება!

საბედნიეროდ, საქართველოს მტრები ვერ საზღვრავენ იმას, რომ დღეს საქართველოს არა უნიათო „თეთრხელთათმანიანი მარქსისტები“, არამედ ძლიერი, საერთაშორისო მხარდაჭერით აღჭურვილი ხელისუფლება ჰყავს.

ვერ საზღვრავენ, რადგანაც მათი გონება, მენტალობა და მანიკალური იდეაფიქსი ვერ სცდება 1921 წელს, და სურთ, მაშინდელი ისტორია გაიმეორონ.

ვერ გაიმეორებენ, რადგანაც უკრაინას არც საუკუნის წინანდელი გეტმანი მართავს და არც რუსებს ჰყავთ ახალი „წითელი არმიის“ მეთაურად ნიკოლაი შჩორსი.

სერგო ორჯონიკიძის და ბოლშევიკების ამ სულიერ შვილებს კი ქართველი ხალხი საკადრის პასუხს გასცემს.

ფილმში „გიორგი სააკაძე“ არის ერთი ფრაგმენტი, როცა შაჰის კარზე გიორგი სააკაძე რუს ვაჭრებს შეხვდება.

— გვინდოდა, საქართველოში სიასამურის ბეწვი შემოგვეტანა.

— საქართველოს ახლა ზარბაზნები უფრო სჭირდება!

არ სჭირდება უკრაინას 50 ლარად საკუთარი სამშობლოს დაცვისგან თავდაძვრენილი ტიპები.

არ სჭირდება უკრაინას ახუნტრუცებული გოგონები, რომლებიც უკრაინას რუკაზე ნამდვილად ვერ იპოვიან და მიშა და იაკო პეჩორის ლავრის ამშენებლები ჰგონიათ.

არ სჭირდება უკრაინას თაღლითი პოლიტიკანების მხრიდან თავიანთი ტრაგედიის სასპეკულაციოდ გამოყენება.

უკრაინას ჰუმანიტარული დახმარება და აქ ჩარჩენილი უკრაინელების დახმარება სჭირდება.

უკრაინა არ არის ის ნაბიჭვარი პიჟონი გონჩარენკო, რომელიც აშკარა პროვოკაციისკენ მოუწოდებს ქართველებს.

უკრაინა ძალიან კარგად ხედავს იმას, თუ ვინ არის რეალური მოყვარე და ვინ ტრაგედიის საკუთარი მიზნებისთვის გამომყენებელი.

ან „მხარდამჭერი კონცერტი“ რას ნიშნავს?

— ტიჟ მენე პიდმანულა ლაბადაბუდუდეი,

ტიჟ მენე პიდველა ლაბადაბუდუდეი.

არა რა. ამათ სირცხვილზე რამე რომ ვუთხრა, ან ახსნა დავუწყო აზრი არა აქვს.

ამათი ვიწრო ტვინი ვერ ხარშავს ვერაფერ ადამიანურს. ვერ ხარშავს იმას, რომ აქ რომ ხუნტრუცობენ, იქ ჩაცმული ბავშვები შიშით უყურებენ ცას და სინათლის ყოველ გაელვებაზე დედებს ეხუტებიან.

ვინ არიან ეს უკულმა გაკეთებულები?

პუტინს უმღერით, თქვე ყოვლად გათახსირებულო ხალხო?

ფუი თქვენი ჯილაგი რა ვთქვი და იმისი კიდე, ვინც ეგ ტვინები გადაგიბრუნათ!

ან კიდევ ქაცარავას და ვაჟა ექიმის „გმირობის ცდილობა“:

რას ნიშნავს „ოფიციალური რეისი“ და მოხალისეების გაგზავნა „სამთავრობო ხაზით“? თქვენ საერთოდ აზროვნებთ, თქვე პროვოკატორებო?!! თქვენ საერთოდ შეგრჩათ საღი აზროვნება ან საკუთარი ქვეყნის სიყვარული? რას ითხოვთ, რომ გავაგზავნოთ ოფიციალური რეისი და ასე ღიად, ოფიციალურად ჩავერთოთ საქართველო, როგორც მხარე - საომარ მოქმედებებში? ნატოს ჯარები დგანან საკუთარი დისლოკაციის ადგილზე!!! უკრაინის არც ერთ სამხედრო-პოლიტიკურ პარტნიორს ალიანსიდან უკრაინაში არც ერთი ჯარისკაცი არ შეუყვანია!!! და საქართველოს, რომლის 20% ოკუპირებული აქვს რუსეთს, უნდა ჩაითრიოთ ამ უმძიმეს პროვოკაციაში??? ნაცებო, არ გაბედოთ და ხელი არ წაგიცდეთ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე, თორემ ხალხის მღელვარება რა არის, ნახავთ საკუთარ თავზე!!! (დავით ქართველიშვილის ფეისბუკ პოსტიდან).

ირაკლი ღარიბაშვილი — მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ეროვნული ინტერესებით ვიხელმძღვანელებ, მიუხედავად იმ რაღაც ე.წ. ოპოზიციის ნარატივისა, რომელიც ჩამოყალიბდა, რომლითაც ისინი სპეკულირებენ. კარგად გვახსოვს, თუ როგორ დაკარგა ქვეყანამ ახალი ტერიტორიები, როგორ ჩაბარა სააკაშვილმა კოდორი, რომელსაც რამდენიმე ხნით ადრე დაარქვა პროვოკაციულად ზემო აფხაზეთი და ჩააბარა ახალგორი, ასზე მეტი სოფელი და ათასობით ჩვენი მოქალაქე აქცია დევნილობაში, ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე.

რამდენად საკვირველიც არ უნდა იყოს, მაგრამ არიან ატკრციალებული ტიპები, რომლებმაც ჩაიხვიეს, რომ პრემიერი უნდა გადადგეს და „გვაშინებენ“, რომ ევროპას საქართველოს ხელისუფლება არ მოსწონს.

ეკა ზღულაძე — მე აქ ევროპაში ყოველდღე იმისთვის ვიტარებ უამრავ შეხვედრას, რათა აქაურებს დავანახო — თუ რა განსხვავებაა ქართველ ხალხსა და ქართულ ხელისუფლებას შორის.

უჩა ნანუაშვილი — პრემიერი უნდა წავიდეს.

ალბათ გახსოვთ ასეთი პერსონები ეკა ზღულაძე და უჩა ნანუაშვილი, რომლებიც გარკვეულ წრეებში რატომღაც ჭკუასაკითხავ ტიპებად ითვლებიან.

საოცარია, მაგრამ რატომღაც.

არადა, ახლა მაგათ რომ ჰკითხო, დაასახელონ ის მიზეზები, რატომ უნდა გადადგეს პრემიერი, სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ერთ ღირებულ არგუმენტს ვერ იტყვიან.

მათი ასეთი შეკივლებები იმ ჯიუტი და ყოვლად უაზრო შინაგანი განწყობიდან მოდის, რასაც ხალხში „ჩემი ცოცორი კიტრია“ ჰქვია.

არ არის თქვენი ცოცორი კიტრი.

არ არის და არც იქნება, რადგან ცოცორს ცოცორი არ აბია!

სამაგიეროდ კელი დეგნანი აცხადებს - საქართველოს პოზიცია აშკარაა, დაიჭირა მკვეთრი პოზიცია, ვხედავთ დახმარებასაც.

ჩემი აზრით, აშშ-ის ელჩის ეს განცხადება ფაქტობრივად მთელი ცივილური სამყაროს დამოკიდებულების გამოხატვაა.

მთელი ცივილური სამყაროს და არა ვიღაც მაქარაშვილების და მსგავსი არსებების „აზრი“.

კარგი, ვთქვათ და გადადგა პრემიერი.

მერე რა ხდება?

ოდესის ყოფილი გუბერნატორი ქუდზე კაცს შეკრებს და მოსკოვზე გაილაშქრებს?

მაქარაშვილი მეწინავე რაზმს უსარდლებს. მაჭუტაძე მარჯვენა ფლანგს (ეგ ხომ მემარჯვენეა).

სამადაშვილი მედდა იქნება.

უკაცრავად, მაგრამ ამათ ხომ არ აჟრიალებთ?

დაბოლოს, სააკაშვილის ბოლო გზავნილი, რომელიც ფეისბუქის მის გვერდზე გამოქვეყნდა:

რა მიხარია, შე იდიოტო, უკრაინაში ომი?

პირველად ცხოვრებაში ვეღირსე ნამდვილ, კარგ სახლს, თქვენგან განსხვავებით არა მოპარული ფულით. გუშინ იმ სახლთან რუსულმა BTR-ებმა ჩაიარეს. ხვალ ალბათ შიგნით შევლენ და ჩემს საწოლში დაიძინებენ. ასევე ჩავლენ ჩემს ღვინის მარანში და ყველაფერს გამოწრუპავენ და ეს შეიძლება მიხაროდეს?

მე ვარ უკრაინელი ოფიციალური პირი და მომეპყარით სათანადოდ, თუ ჩემს პრეზიდენტობას არ სცემთ პატივს.

აბა რა უნდა თქვა ამ მართლა იდიოტზე?

დარდობს ჩემს სახლში შევლენ ჩემს ღვინოს გამოწრუპავენო და ლიზინკას გაკრახმალებულ თეთრეულში ჩაწვებიანო.

უკრაინელი ოფიციალური პირი ვარ და სათანადოდ მომეპყარითო.

სათანადოდო, ამ მართლა სათანადოდ მოსაპყრობმა.

რა პრეზიდენტობას უნდა ვცეთ პატივი?

შენ თვითონ არ სცემ პატივს არც იმ თანამდებობას რაც საქართველოში გეკავა და არც იმას, რაც უკრაინაში მოგცეს.

გაათახსირე და მიწასთან გაასწორე ყველაფერი, რასაც სიტყვა პრეზიდენტი ნიშნავს.

ჩემს ღვინოს დალევენო, კაცოოუ! ჩემს ღვინოსო!

ფუი!!!



მოკლედ რომ ვთქვა, ბევრი საზრუნავი აქვს ხელისუფლებას.

ბევრი და პირველ რიგში იმ შულავერის კომიტეტისგან გათავისუფლება, რომელიც ამდენი წელია, ყველა საშუალებით ებრძვის საქართველოს.

გია გაბრიჭიძე

ᲒᲝᲜᲬ ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲝ! ᲣᲠᲐ-ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘ ᲓᲐᲒᲕᲓᲣᲞᲐᲕᲡ! ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ, ᲗᲣ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲬᲧᲕᲔᲢᲗ ᲛᲘᲡ ᲚᲐᲜᲫᲓᲕᲐᲡ, ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲒᲐᲛᲗ ᲛᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ, ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲔᲖᲝᲑᲚᲣᲠ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲡ!

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲞᲘᲠᲣᲗᲕᲜᲔᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ!

მძიმე და განსაცდელებით აღსავსე დროში გვიწევს ცხოვრება. არაერთ შიდა პრობლემებს ახლა კიდევ უდიდესი საგარეო საფრთხე დაემატა: დამპყრობი და აგრესორი რუსეთი თავს დაესხა მოძმე უკრაინას! ქართული პოლიტიკური სპექტრის ზოგიერთ ვაი-მოღვაწეს მინდა მივმართო: ურწმუნოებმა იქნებ ახლა მაინც ირწმუნოთ საბჭოთა პერიოდის სიკეთეები! რამდენი უბედურება დაატყდა თავს თხუთმეტივე რესპუბლიკას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ: შიდა დაპირისპირებები და ერთმანეთთან ომები, ნგრევა, სისხლისღვრა, გაუბედურებული ხალხის ცრემლის ნიაღვარი, გაუთავებელი ბრძოლა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ნაირ-ნაირ პარტიათა სიმრავლე და მათ შორის გაუთავებელი დაპირისპირებები; უმუშევრობის დონის კატასტროფული ზრდა, შობადობის გაუგონარი შემცირება, განათლებისა და მეცნიერების უმდაბლესი დონე, შრომისუნარიანი მოსახლეობის უცხოეთში გადინება ღირსების შეურაცხმყოფელ სამუშაოზე დასაქმებით; სამრეწველო საწარმოების დემონტაჟი და ჯერ კიდევ სავსებით გამოსადეგი მანქანა-დანადგარების ქვეყნიდან ჯართად გატანა; ადგილობრივი ტყის მასივების ბარბაროსულად გაჩეხვა და საზღვარგარეთ არა ნაწარმის, არამედ ხის მასალად გაყიდვა, წამლებისა და მკურნალობის, ასევე სურსათსა და კომუნალურ მომსახურებაზე ფასების შემაღონებელი, უმოწყალო ზრდა... ყოველივე ამის მიზეზით მოსახლეობის უდიდეს ნაწილს იმდენად უჭირს, რომ ბევრი ადამიანი შიმშილობს კიდეც, ხელგაწვდილი ბავშვების და სანაგვეში თავჩარგულთა სიმრავლე. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამომწვევი ყველა უარყოფითი მოვლენის ჩამოთვლა შეუძლებელია, რაც გაუაზრებელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ დაატყდა საქართველოს.

ადრეც არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველო მუდამ გამორჩეული და მოწინავე იყო. დღესდღეობით სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დასახელების პროდუქტი უცხოეთიდან შემოგვაქვს, თანაც მდარე ხარისხის! უწინ კი ჩვენს მადლიან მიწაზე მოყვანილი ყველანაირი პროდუქტი გვქონდა. ხალხი შრომობდა, ოჯახებსაც ნორმალურად ინახავდა, მოწეული მოსავლის ჭარბი ნაწილი კი სრულიად უპრობლემოდ მეზობელ რესპუბლიკებში გაჰქონდა სარეალიზაციოდ.

ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საქართველო არ შეუერთდა აგრესორი რუსეთის მიმართ დაწესებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებს. ეს იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და მთელი ხელისუფლების გონივრული, მე ვიტყოდი, ბრძნული გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს მიერ დაწესებულ სანქციებს ნულოვანი შედეგი რომ ექნებოდა, ნუთუ ეს არ ესმით ცრუპოლიტიკოსებსა და ცრუპატრიოტებს?!

ამ ნაბიჯს ხომ ჩვენი ქვეყნისთვის დამანგრეველი შედეგი მოჰყვებოდა ამ ნაბიჯს დამპყრობელი საქართველოს არ აპატიებდა და სამაგალითოდ დაგვსჯიდა. ეს ხელისუფლების გონივრული გადაწყვეტილებაა, ამიტომ ვინც მას არ ეთანხმება და აკრიტიკებს, უგუნურია! გერმანია, იტალია, ავსტრია, ნორვეგია, ფინეთი, ჩინეთი, ინდოეთი, სერბეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, შუა აზიის არც ერთი სახელმწიფო და მრავალი სხვა ქვეყანა არ შეუერთდა რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს. განა ჩვენთვის ეს მაგალითი არ უნდა იყოს? რატომ უნდა შევყოთ თავი გამძვინვარებული ლომის ხახაში?

გონს მოდით, ქართველებო! ურა-პატრიოტიზმი დაგვლუპავს! რუსეთი არ გაგვახარებს, თუ ერთხელ და სამუდამოდ არ შევწყვეტთ მის ლანძღვას, არ გადავდგამთ მისკენ დიპლომატიურ და პოლიტიკურ, კეთილმეგობრულ და კეთილმეზობლურ ნაბიჯებს!

ისე კი არ უნდა მოვიქცეთ, როგორც ამას 2008 წელს უგუნური ნუგზარ წიკლაური გვიქადაგებდა და კატეგორიულად მოითხოვდა რუსი კლასიკოსების პუშკინის, ლერმონტოვისა და გრიბოედოვის ძეგლების დანგრევას(?!) ახლა გაუნათლებელი ნაციონალები ითხოვენ საქართველოში რუსული ენის სწავლების აკრძალვას. განა ამას რაიმე გამართლება აქვს?

ერთმორწმუნე რუსეთი დიალოგისთვის მზადაა და მოდით, ნუ გავჯიუტდებით – სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ!

უკრაინის დროშების ფრიალით ვერაფერს ვერ ვუშველით მას!

ოპოზიციის საქციელი მაგონებს შულავერის კრების მონაწილეთა – ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის, ბუდუ მდივანის, შალვა ელიავას, მიხეილ ოკუჯავას, ალექსანდრე გეგეჭკორისა და სხვათა მოღალატურ საქმიანობას.

ჩვენმა კეკლუცმა პრეზიდენტმა სრულიად არაგონივრულად გასცა განკარგულება რიგგარეშე საპარლამენტო სესიის ჩატარების თაობაზე, მერე კი, რატომღაც „თავის სამშობლოში“, საფრანგეთში გაისეირნა.

რიგგარეშე საპარლამენტო სესიისა და უშიშროების საბჭოს სხდომის არჩატარება გონივრული ნაბიჯი იყო. ნუთუ ამასაც ვერ ხვდებით?

ვინ მიიყვანა უკრაინა ამ უბედურებამდე? რა თქმა უნდა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ნატომ, ევროკავშირმა, ევროკომისიამ, ევროსაბჭომ, ევროპარლამენტმა – წაქეზებით და ცრუდაპირებებით. ამიტომაა სწორედ, რომ ჩვენ დაფიქრება და სიფრთხილე გვმართებს!

აუარება იარაღი შეიზიდა უკრაინაში ამ ბოლო დროს, მაგრამ ვოლოდიმერ ზელენსკი ამ გაშმაგებულ მხეცთან პირისპირ მაინც მარტო დარჩა!

ახლა უკრაინა უმძიმეს და ურთულეს ვითარებაშია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მთელი ჩვენი ხელისუფლება, ყველა ნორმალური ადამიანი სოლიდარობას ვუცხადებთ და ვუთანაგრძნობთ უკრაინელ ხალხს, ვგმობთ რუსეთის აგრესიას! რაც ახლა უკრაინაში ხდება, ბარბაროსობაა, რომლის წინაშე სუპერსახელმწიფოებიც და სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ნატოც უძლურები აღმოჩნდნენ!

არაფრის მომტანი და უსარგებლო ღნავილი ისმის ოპოზიციის მხრიდან. გასაკვირია, რას ედავება ნაცხროვა ხელისუფლებას, რომელმაც თავისი უგუნურობით სამშობლოს 20% უმშვენიერესი ტერიტორიები დააკარგვინა და განა მარტო ეს გვაკმარა?! ამ უტიფრებმა ქვეყანა გაყვლიფეს და ხალხი გაღატაკეს! საქართველოს მიშაზე და მის გარემოცვაზე ვერაგი მტერი არ ჰყავს! მან გადასცა რუსეთს მთელი ქვეყნის ენერგოობიექტები, ამიტომ თუკი მას სანქციებს დავუწესებთ (ჯერ სად გვაქვს ამის ეკონომიკური ან ფინანსური რესურსები?), ის შეგვიწყვეტს ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და ხორბლის მოწოდებას, შედეგად გამოვა, რომ სანქციებს აქეთ დაგვიწესებს! ჰოდა, აი მაშინ როგორღა ვიცხოვრებთ, ოპოზიციონერებო?! თანაც, ამ შემთხვევაში რუსეთი თავისი ბაზრიდან ჩვენს პროდუქციას გამოდევნის და, ამასთან ერთად, იქ მომუშავე ჩვენს თანამოქალაქეებსაც გამოაძვებს, რომელთა შემწეობით საქართველოს მოსახლეობას მნიშვნელოვანი ნაწილი თავს ირჩენს.

როდესაც აშშ და ნატო ბომბავდნენ, მიწასთან ასწორებდნენ ერაყს, იუგოსლავიას, ეგვიპტეს, ტუნისს, ავღანეთს, ლიბიას, სირიას, სასტიკად უსწორდებოდნენ მათ ლიდერებს, რატომ არ გამოიჩინეს მათდამი თანადგომა და დახმარება სუპერ სახელმწიფოებმა ან ჩვენმა ოპოზიციამ? ეს იყო აგრესიის, დაპყრობისა და რესურსების ძარცვის კლასიკური მაგალითი. რაღაც არ მახსენდება, რომ დიდად უთანაგრძნობდნენ და ცრემლებს აღვარღვარებდნენ ჩვენი ოპოზიციონერი პარლამენტარი დედაკაცები რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარების გამო! ოპოზიცია საკუთარი ვიწროპარტიული ინტერესების ტყვეობაშია.

ამაზე რატომღაც არავინ ლაპარაკობს, იმიტომ, რომ მაშინ ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო და მისი ყველას ეშინოდა, დღესდღეობით კი რუსეთია მასზე ძლიერი, პლანეტაზე კი ძალმომრეობა ბატონობს! ის კი არა და პუტინს ძალისმიერი მეთოდით ალიასკის დაბრუნებაც კი უნდა, რომელიც მეფის რუსეთმა ამერიკას თავის დროზე ძალიან იაფად – 7 მილიონ 200 ათას დოლარად მიჰყიდა.

ახლა კი ეს მუხანათური ომი უკრაინასთან, რუსეთს დღეში 20 მილიარდი დოლარი უჯდება. განა რამდენ ხანს შეძლებს მისი მწირი საფინანსო რესურსების პატრონი, უკრაინის შემზარავ დაბომბვებს?

„შეიძლება ეს იყოს უკანასკნელი ღამე, როცა მე ცოცხალს მხედავთ“, – ამ სიტყვებით მიმართა სასოწარკვეთილმა ვოლოდიმერ ზელენსკიმ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერებს ომის დაწყებიდან მეორე ღამეს გამართული ვიდეოკონფერენციის დროს.

ზელენსკი პუტინს შეხვედრას და დიალოგის დაწყებას სთავაზობს. ჩემი აზრით, პუტინი მას შეხვდება მხოლოდ მაშინ, როცა უკრაინა სრულ და უპირობო კაპიტულაციას გამოაცხადებს, ანდა, თუ ზელენსკი გადადგება, ის ახალ ლიდერს შეხვდება. რუსეთის იმპერიის აღდგენა, რასაც ახლა პუტინი ცდილობს, მხოლოდ ბელარუსთან და უკრაინასთან ერთადაა შესაძლებელი. პუტინმა ისიც იცის, რომ უკრაინის გულისთვის რუსეთთან არავინ იომებს.

კელი დეგნანი კი ნიუ-იორკიდან გვმოძღვრავს და გვამუნათებს: „ჩვენ 30 წელია გეხმარებით. ახლა ამერიკის შეერთებული შტატები დადგება ქართველი ხალხის გვერდით, მხარს დაუჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას“. ეს სხვა არაფერია, თუ არა მორიგი უსაგნო დაპირებები! არაა ნათქვამი არც ერთი სიტყვა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, ხალხის კეთილდღეობაზე.

საიდან გამოტყვრა არამკითხე ლუკ კოფი, რომელიც მოუწოდებს ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებს: „სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ საქართველოს კბილებამდე შეიარაღება“. ნეტა ვინ ეკითხება მას ან რაში გვჭირდება ასეთი უგუნური „დახმარება“?

გონს მოეგეთ, ოპოზიციონერებო!

ᲝᲛᲐᲠ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲢᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲦᲜᲐᲕᲘᲚᲘ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ. ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘᲐ, ᲠᲐᲡ ᲔᲓᲐᲕᲔᲑᲐ ᲜᲐᲪᲮᲠᲝᲕᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ 20% ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲔᲡ ᲒᲕᲐᲙᲛᲐᲠᲐ?! ᲐᲛ ᲣᲢᲘᲤᲠᲔᲑᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲐᲧᲕᲚᲘᲤᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲐᲦᲐᲢᲐᲙᲔᲡ!

წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, უკრაინის სახელმწიფო ჰიმნის ფონზე, რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

„უკვე რამდენიმე დღეა საკუთარი თვალით ვხედავთ უკრაინელი ხალხის ბრძოლას საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს ბრძოლა უცხო არაა და კარგად ვიცით, თუ რას გრძნობენ ამ მძიმე დღეებში ჩვენი უკრაინელი დები და ძმები.ბრძოლას, მით უმეტეს ბრძოლას თავისუფლებისთვის, ყოველთვის მოყვება მსხვერპლი. მათ შორის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, რაც ყველაზე დიდი საშინელებაა ომის დროსაც კი! ამიტომ, სხდომის დაწყებამდე, გთხოვთ, უკრაინის სახელმწიფო ჰიმნის ფონზე წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ დაღუპულთა ხსოვნას“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა.

მამუკა მდინარაძე: რატომ ცდილობთ, ხელისუფლებას ისეთი იარლიყი მიანებოთ, რაც ქვეყანასაც დააზიანებს...

არავის არაფერი გაგიკვირდეთ მას შემდეგ, რაც ვინმეს დაებრალებთ რაღაცას და მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებთ. თუ ვინმე თქვენგანისთვის მძიმე შეურაცხყოფა არ არის რუსული იარლიყის მიკერება, ეს თქვენი პრობლემაა, — ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ პარლამენტში განაცხადა. აღნიშნული განცხადება მდინარაძემ მას შემდეგ გააკეთა, რაც მიხეილ ყაველაშვილის გამოსვლას ოპოზიციონერების კრიტიკა მოჰყვა, სალომე სამადაშვილმა კი მისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერება მოითხოვა. როგორც მდინარაძე ამბობს, დღეს ყველა ერთად უნდა იდგეს და ოპოზიციამ ხელისუფლებას ისეთი იარლიყი არ უნდა მიაწებოს, რაც ქვეყანას დააზიანებს.

„ქალბატონმა თინამ ვერ დამალა გაღიზიანება დროშის გამო. მე ველოდი, რომ დამალავდით, მაგრამ ვერ დამალეთ. ხალხი რომ იღუპება, ამის პიარკამპანიად გამოყენება არის უბედურება, მარაზმია და სირცხვილია. მართლა ერთი წელი გავიდა, რაც ყველა გამოსვლაში ამ თემას ვეხებით ხოლმე, რეზოლუციაზე გელაპარაკებით. ღარიბაშვილის სიტყვებს რომ დასდევთ, ინტერპრეტაციას უკეთებთ და ისე მიაწოდეთ საზოგადოებას. გავიგეთ, რომ პიარულად სწორი ნაბიჯია და არა მორალურად. თუ საჭიროება დადგება, რომელიმე ჩვენგანი ომსა და ბრძოლაზე შეიკავებს თავს და ვინმეზე ნაკლებად უდუღს სისხლი? ბოლომდე უნდა იღვაწო, გააკეთო ყველაფერი, რომ შენს ქვეყანას სისხლისღვრა ააცილო თუ ამის შესაძლებლობა თეორიულად მაინც არის, მაგრამ სხვა გზა თუ არ იქნება, უნდა იბრძოლო და თავიც შეიძლება, გაწირო.

რა მარაზმია ეს, რომ სამი დღის განმავლობაში უკრაინის ომის კვალდაკვალ, რუსული დაწყებული უბედურებით, თუ ამას საქმე ჰქვია, მათი საქმით სარგებლობთ, მათი ხოცვა-ჟლეტით სარგებლობთ. როცა აქ უნდა დავდგეთ ამ გამოწვევებთან ერთად, უნდა შეეცადოთ, მსგავსი მაინც ქნა, რაც ოპოზიციამ გააკეთა 2008 წელს, თქვენ რით ხართ დაკავებული — ჯერ შიგნით და შემდეგ გარეთ როგორ გავარუსოთ საქართველოს ხელისუფლება. ამით ხართ დაკავებული, დღეს რატომ აკეთებთ ამას. რატომ ცდილობთ, რომ თქვენი ქვეყნის ხელისუფლებას იარლიყი მიაწებოთ, რომელიც საუბედუროდ, ქვეყანასაც დააზიანებს. ამის გაკეთება შეიძლება? რა ხალხი ხართ, საიდან მოხვედით, ვინ ხართ საერთოდ, როგორ შეგიძლიათ ასეთ მარაზმში შეყოლა მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკური, თქვენი მარაზმატიკული და ავადმყოფური მიზნები შეასრულოთ. საიდან მოგაქვთ ეს ნარატივი, რომ შენი ქვეყნის ხელისუფლებას აზიანებდე რუსული იარლიყის მიწებებით. თუ საბრძოლოა, ვიბრძოლოთ, მაგრამ მანამდე ყველაფერი გავაკეთოთ, რომ არ გახდეს საომარი. თუ შეგიძლიათ გაიგეთ, თუ არ შეგიძლიათ, იმაზე მაინც მიპასუხეთ, რატომ ულალატეთ თქვენს ქვეყანას ორ თვეში ომიდან“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ლევან ნიკოლეიშვილი: ხალხი გააფთრებული ომობს, ეს პოლიტიკური მაიმუნები იმაზე ფიქრობენ, იქნებ ეს ყველაფერი ჩვენ სახეიროდ გამოვიყენოთო

უკვე ძნელია, რა დავარქვათ ამას, კიდევ ერთი მცდელობა თუ კიდევ ერთი დანაშაული. უკვე მერამდენედ ცდილობს რადიკალური ოპოზიცია, მისი ფლაგმანი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელობით ქვეყანაში არეულობისა და დესტაბილიზაციის გამოწვევას, რომლის შედეგი ხელისუფლების დამხობა უნდა იყოს, — ასე ეხმიანება ექსპერტი **ლევან ნიკოლეიშვილი** „ნაციონალური მოძრაობის“ სამოქმედო გეგმას, რომელიც პარტიის ოფისიდან მოიპოვეს.

როგორც ნიკოლეიშვილი წერს, თუ ადრე საქართველოში ცალკეული ოჯახების ტრაგედია უნდა ყოფილიყო მათთვის დამხმარე ინსტრუმენტი, ამჯერად უკრაინაში მიმდინარე ომი გახდა მათთვის საშველი.

„უკვე მერამდენედაა, როდესაც დაბალი რეიტინგის და საზოგადოების ნული მხარდაჭერის პირობებში ცდილობენ ისევ ადამიანების უბედურებაზე და გვამებზე მოითბონ ხელი. თუ კი ადრე საქართველოში, ცალკეული ოჯახების ტრაგედია უნდა ყოფილიყო მათთვის დამხმარე ინსტრუმენტი ამჯერად უკრაინაში მიმდინარე ომი გახდა მათთვის საშველი. გეგმა შეუმუშავებიათ, სადაც პუნქტებად აქვთ გაწერილი რა უნდა გააკეთონ. ჩემთვის კი საყურადღებო განსაკუთრებით ის პუნქტებია, სადაც, „ნაცებს“ უნდათ, რომ „მოსახლეობას ყოველ მომენტში (ბანერებით, კლიპებით, აქციაზე მიტანილი ეკრანით) დავანახოთ კავშირი 2008 წლის გორში მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას და კიევის სისხლისღვრას შორის. ვიზუალიზაცია უმნიშვნელოვანესია, ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს ხელისუფლების ლიდერების განცხადებების აუდიოჩანაწერების ფონზე!“ ხედავთ, როგორ უნდათ პარალელი გაავლონ? ოღონდ ის ავიწყდებათ, როგორ მიატოვა და გაწირა მაშინდელმა ხელისუფლებამ დიდი და პატარა ლიახვის მოსახლეობა, რასაც უკრაინელებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, უკრაინელებმა ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია განახორციელა, მამაკაცები კი სამხედროებთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ბოლომდე იბრძვიან საკუთარი ქვეყნის დასაცავად. მთავარსარდალ სააკაშვილის და ზელენსკის შედარება კი საერთოდ როგორ შეიძლება, ზელენსკი არც ჰალსტუხს ჭამს და არც მიწაზე ფორთხავს, ყოველდღე ჯართან ერთადაა, ვითარებას არათუ მართავს, არამედ მთელი დასავლეთის მობილიზაცია შესაძლებელი გახადა. „ნაცები“ თავის გეგმაში ამბობენ, რომ „ირიბად შევეცადოთ, მოსახლეობა დავაჯეროთ, რომ რუსეთი არც ერთ შემთხვევაში არ მოახდენს საქართველოში შემოჭრასო.“ 2008 წლის ომის დროს, ჯერ სააკაშვილი, შემდეგ რეინტეგრაციის მინისტრი იაკობაშვილი და მაშინდელი უშიშროების საბჭოს მდივანი ლომაია, უტიფრად აცხადებენ რუსები არ ერევიან სამხედრო მოქმედებებში და ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენო, არადა რეგულარულ არმიას როკის გვირაბი გადმოკვეთილი ჰქონდა და სამხრეთისკენ მიემართებოდა. „ოპოზიცია უნდა გავიდეს პარლამენტიდანო,“ ხომ საერთოდ მაგიჟებს უკვე, ან რატომ ხართ ან რას აკეთებთ, გარდა ავი საქმისა.

დაბოლოს, „უკრაინა ისეთ „ხოდზეა“ როგორც მინიმუმ ეს 7-10 დღე უნდა გაძლონ, რაც ჩვენ ამ გეგმებში ძალიან დაგვეხმარებაო!“

ხალხი გააფთრებული ომობს, თავის ქვეყანას იცავს, მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება, მთელი სამყარო დარაზმულია, აქეთ პუტინი ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრება და ეს პოლიტიკური მაიმუნები იმაზე ფიქრობენ, იქნებ ეს ყველაფერი, ჩვენ სასახელოდ გამოვიყენოთო. აი, რეალურად რა არის სირცხვილი და თავის მოჭრა, თორემ იმას ყველა ვხვდებით და ვაცნობიერებთ, რომ არც ერთი არაა თავის შვილების გამშვები ომში, არც ქმრების და თუნდაც საყვარლების. სხვის შვილების გაწირვაზე კი ყოველთვის მზად არიან უკრაინაში თუ საქართველოში“, — წერს **ნიკოლეიშვილი** Facebook-ზე.

ირაკლი მენაღარიშვილი: ნატო რუსეთის წინააღმდეგ ომს ვერ დაიწყებს, რადგანაც მსგავსი მოქმედება ყველა შემთხვევაში გადაიქცევა ბირთვულ დაპირისპირებად!

სერიოზული საფრთხეა, რადგან უკრაინა, ეს არის რუსეთის დიდი გეგმის ნაწილი, რასაც საბჭოთა კავშირის აღდგენა ჰქვია. უკრაინა ის ბარიერია, რომლის გადალახვის გარეშე, რუსეთი ამას ვერ მოახერხებს. თუ უკრაინა დააჩოქა, მას შესაძლოა გზა ჰქონდეს გახსნილი ამ კატასტროფული მიზნისკენ, — განაცხადა ინტერვიუში საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, **ირაკლი მენაღარიშვილმა**.

— მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით? რამდენ ხანს გაძლებს უკრაინა ამ მდგომარეობაში?

— სამწუხაროდ, ეს ხანგრძლივი პროცესი იქნება, რუსეთი უკან დახევას არ აპირებს, უკან არ დაიხევს არავითარ შემთხვევაში უკრაინა და ეს იქნება, ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი კონრფრონტაცია. თუ აქტიურად არ იქნება საერთაშორისო ჩარევა, შეიძლება კიდევ უფრო დიდი უბედურება დატრიალდეს.

არსებობს ამ სცენარის კიდევ ერთი გაგრძელება, რომლის შესახებ საუბარიც კი არ მინდა — ეს არის მოვლენების ისეთი განვითარება, რამაც შესაძლოა ბირთვულ დაპირისპირებამდე მიგვიყვანოს. ჩვენს თვალწინ სამწუხაროდ, ვითარდება მესამე მსოფლიო ომის წარმოშობის და დაწყების სცენარის მსგავსი რამ.

— დასავლეთი რუსეთს სანქციებს უწესებს, თუმცა, ვხედავ, სხვა ტიპის ჩარევას ჯერჯერობით არ გეგმავს. რამდენად საკმარისია დასავლეთის რეაქცია რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე?

— რა თქმა უნდა, არ არის საკმირისი იმისთვის, რომ სასწრაფოდ შეაჩეროს რუსეთი, არადა ეს ამოცანა დგას. ეს ყველაფერი არ არის უაზრობა, ამას ექნება თავისი შედეგი, თუმცა, ეს შედეგი დადგება რამდენიმე ხნის შემდეგ, მაგრამ მანამდე, მთელი ეს სიმძიმე, ტკივილი წვება უკრაინელი ხალხის და უკრაინული არმიის მხრებზე. სამწუხაროა, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობას ეტყობა მეტი აღარ შეუძლია ან მეტის გაკეთებას ვერ ბედავს.

— როგორ ფიქრობთ, დამატებით, კიდევ რა შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადაედგა დასავლეთს რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად?

— რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საუბარი არის სანქციებზე. წინასწარვე გაცხადდა, რომ ნატო რუსეთის წინააღმდეგ ომს ვერ დაიწყებს. თანაც, მსგავსი მოქმედება ყველა შემთხვევაში გადაიქცევა ბირთვულ დაპირისპირებაში და ამან შესაძლოა დედამიწაზე სიცოცხლე გაანადგუროს, რაც სრულიად მიუღებელია, მაგრამ სანქციების თვალსაზრისითაც, მაინც არსებობს სცენარები, რომელთა განვითარება შეიძლებოდა, რომ უფრო მეტი ეფექტის მომტანი ყოფილიყო. უკვე დღეს დაწყებულიყო რუსეთის ექსპორტის შეზღუდვა, ნავთობის და გაზის სექტორებისადმი მსგავსი შეზღუდვის დაწესება. რუსეთის იზოლირების დაწყება მსოფლიო რუკიდან. ბევრი ლაპარაკობს „სვიფტის“ გათიშვაზე, - დიახ, ეს არის ძლიერი კომპონენტი ამ კომპლექსისა...

— დროა, დავიწყოთ საქართველოს კბილებამდე შეიარაღება“, - ამის შესახებ The Heritage Foundation-ის ანალიტიკოსი, ლუკ კოფი „ტვიტერზე“ წერს. რას ნიშნავს მისი ეს განცხადება?

— იარაღის გადაცემაზეა საუბარი და ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე, რაც დაუყენეს უკრაინას.

— ეს პრევენციისთვის ხდება? ვართ დღეს რეალური საფრთხის ქვეშ?

— ამ საფრთხის წინაშე ჩვენ ვართ 2008 წლის შემდეგ, პერმანენტულად.

— ასევე მინდა გკითხოთ პრემიერ-მინისტრის განცხადების შესახებაც. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო არ მიიღებს მონაწილეობას იმ სანქციებში, რომელსაც დასავლეთი რუსეთს უწესებს. რამდენად სწორია პრემიერ-მინისტრის ეს პოზიცია?

— არ მგონია, რომ ეს სწორი განცხადება იყოს. დიახ, საქართველოს საშუალებები არის ძალიან შეზღუდული, პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს რუსეთის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ჩვენ უსაფრთხოების პრობელემებიც გვაქვს, მაგრამ ყველაფერი ეს შეიძლება სხვანაირად წარმართო და ითქვას. ის რია-რია, რომელიც ქვეყნის შიგნით ატყდა უკრაინასთან დაკავშირებით, კარგს არაფერს მოასწავებს.

— შესაძლოა რუსეთის მხრიდან შემდგომი ქმედებების მაპროვოცირებელი იყოს ის რეაქცია, რაც ქართველ საზოგადოებასა თუ პოლიტიკურ წრეებში მოჰყვა, რუსეთის მხრიდან უკრაინაში შეჭრის ფაქტს?

— რუსეთისთვის არა, ეს ჩვენთვის, ქვეყნის შიგნით არის დამაზიანებელი. ეს საზოგდოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას აზიანებს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სახელმწიფოებრივობისთვის არის საფრთხის შემცველი.

— როგორ ფიქრობთ, თუკი უკრაინა რუსეთთან ბრძოლაში დამარცხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერი ჩვენზე მიდგება? რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს ხომ საბჭოთა კავშირის აღდგენა სურს...

— სერიოზული საფრთხეა, რადგან უკრაინა, ეს არის რუსეთის დიდი გეგმის ნაწილი, რასაც საბჭოთა კავშირის აღდგენა ჰქვია. უკრაინა ის ბარიერია, რომლის გადალახვის გარეშე რუსეთი ამას ვერ მოახერხებს. თუ უკრაინა დააჩოქა, მას შესაძლოა, გზა ჰქონდეს გახსნილი ამ კატასტროფული მიზნისკენ... ძნელი სათქმელია, როგორ წავა ბატონი პუტინის ფანტაზია, ყველა მიმართულებით შეიძლება შემდგომ განვითარდეს მოვლენები.

ნიკო ჩოხელი

ძმათა-მკვლელი ომი, რომელიც შეშლილმა ტირანმა წამოიწყო

უკრაინაში **მიმდინარე სისხლიანი დაპირისპირება უფრო სასტიკ და დაუნდობელ ხასიათს იძენს. რუსულმა მხარემ მყისიერ წარმატებას ვერ მიაღწია და მოქმედება ომის დაუწერელი კანონების დარღვევით დაიწყო. ყველამ ვიხილეთ კიევიდან გასვლისას რუსების მიერ მანქანაში ჩაცხრილული უკრაინული ოჯახი, ქალაქის ერთ-ერთ მიკრორაიონში რუსული ჯავშანტექნიკის მიერ მიჯრით მიჭყლეტილი ადგილობრივი მაცხოვრებლის მანქანა (საბედნიეროდ, მისი მფლობელი — ხნიერი მამაკაცი ცოცხალი გადარჩა), უკრაინული ქალაქების საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების მიმართ გასროლილი ჭურვები.**

ანტირუსული სანქციების დაწესების შემდეგ ამ ქვეყნის ხელმძღვანელი პირების რიტორიკა უფრო გამკაცრდა. ჯერ იყო და ქალბატონი **მარია ზახაროვა** შვედეთსა და ფინეთს ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში პოლიტიკური და სამხედრო შურისძიებით დაემუქრა. არ მოგესმათ, — სამხედრო! ეს ტერმინი რუსულმა მხარემ პირველად უკრაინის მიმართ გამოიყენა და შეასრულა თუ არა დანაპირები, ყველა ვხედავთ. ახლა, ანალოგიური მუქარა ორი ჩრდილოელი ქვეყნის მიმართ გაისმა.

რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დმიტრი მედვედევმა** განაცხადა, რომ რუსეთისთვის დასავლეთის სანქციები არაფერს ნიშნავს, არაფერს შეცვლის და უკრაინაში „სამხედრო ოპერაცია“ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ დასახული ყველა მიზნის მიღწევამდე გაგრძელდება. ამის შემდეგ კი „ისტორიული“ განცხადება გააკეთა, რომ რუსული მხარისათვის არც დიპლომატიური ურთიერთობებია საჭირო და „დროა საელჩოებს ბოქლომები დავუყენოთ“. ანუ, მოკლედ რომ მიმოვიხილოთ, დასავლეთთან ურთიერთობა „ფეხზე მკიდია“, სანქციების არ მეშინია და იქით მეხვეწეთ ჩემთან კონტაქტი თუ გინდათო.

უკეთეს მაგალითს მოგიყვანთ — რუსეთის თავდაცვის სამინისტრო 27 თებერვლამდე უარყოფდა, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად რუსი ჯარისკაცების დაღუპვის ფაქტს. მედიისთვის გავრცელებულ უახლეს ინფორმაციაში რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მხოლოდ იმ სამხედრო აღჭურვილობის დანაკარგს ასახელებდა, რომელიც მათი ცნობით, უკრაინულმა მხარემ „სპეციალური სამხედრო ოპერაციის დროს“ განიცადა.

უკრაინულმა მხარემ რუსული დანაკარგების ოფიციალური რაოდენობა გამოაცხადა: 3500 გარდაცვლილი და 200 ტყვედ აყვანილი. ამ საზარელი ციფრების გაჟღერების შემდეგ უკრაინის ვიცე-პრემიერმა **ირინა ვერეშჩუკმა** საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაცია „წითელ ჯვარს“ მიმართა, რომ ეს ორგანიზაცია უკრაინაში შევიდეს და რუსი ჯარისკაცების ცხედრები გაიტანოს.

ამ დროს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო საკუთარ მოსახლეობას ამშვიდებდა, „უდანაკარგო ომში“ ვართ ჩაბმულებიო.

გაგიგიათ, ალბათ, ქალბატონ **თინა კანდელაკის** სახელი, პრეზიდენტ პუტინზე მზე და მთვარე რომ ამოსდის. თინა კანდელაკმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მედიაში გაშუქების საკითხი შეაფასა და შემდეგ „დამაჯერებელი“ განცხადება გააკეთა:

„ნუ დაუჯერებთ ფოტოებს და ვიდეოებს ტყვეების შესახებ. მრავლად გვაქვს შემთხვევები, როდესაც უკრაინულ სამხედროფორმიან პირებს გადაცმული აქვთ რუსული ტანსაცმელი. ვრცელდება რგოლებიც, სადაც ისმის გოდება და წამოძახილები: „აი, ისინი მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავენ“ — ეს არის ვირუსი, რომელიც შექმნეს მათ, ვისაც თქვენი შეცდომაში შეყვანა სურთ“.

სრულიად რუსეთი უდიდეს საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფება. უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მოსახლეობის უმრავლესობამ არაფერი იცის. ამ მდგომარეობაში განსხვავებული აზრის გამოხატვა წარმოუდგენელი გმირობის ტოლფასია.

26 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ რუსეთში უკრაინაში ომის შეწყვეტის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. დაახლოებით 1500 ექიმმა პუტინს ღია წერილით მიმართა:

„ომი არაერთ სიცოცხლეს შეიწირავს, დაანგრევს ბევრის ცხოვრებას. ექიმები ყველა ძალისხმევის მიუხედავად მათ დახმარებას ვერ შევძლებთ. ტკივილისგან ყვირილს ყველა ერთ ენაზე დაიწყებს. რაც არ უნდა კეთილი მიზნებით მართლდებოდეს სასიკვდილო იარაღის გამოყენება, ის მაინც სასიკვდილოა“.

მოგვიანებით მოწოდებას, „შეწყდეს ომი უკრაინაში“ რუსული ხელოვნების სფეროში მოღვაწე რვა ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი. ხელოვნებს მხატვრები და დიზაინერებიც შეუერთდნენ და მათგან ორი ათასმა ანალოგიურ მოწოდებაზე საკუთარი ხელმოწერით დაადასტურა.

რუსეთი გამოფხიზლდა. მართალია, მრავალმილიონიანი ქვეყნისათვის ეს ჯერჯერობით ზღვაში წვეთია, მაგრამ მოსახლეობის „გამოჯანსაღების“ პროცესი უკვე დაიწყო.

განსხვავებულად მოაზროვნე რუსი ერის სათქმელი ცნობილმა მწერალმა **დმიტრი გლუხოვსკიმ** რამდენიმე წინადადებაში ჩაატია.

„ეს მტაცებლური, ძმათამკვლელი ომია, რომელიც შეშლილმა ტირანმა წამოიწყო და რომელსაც გამართლება არ აქვს. სირცხვილი. გვაპატიე, უკრაინა“, — დაწერა ცნობილი ტრილოგია „მეტროს“ ავტორმა.

უკრაინაში კრემლის სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ პროტესტს რუსეთის პირველი პრეზიდენტის, **ბორის ელცინის** შვილი და შვილიშვილი შეუერთდნენ. შვილიშვილი, 19 წლის **მარია იამაშევა**, ლონდონში, უკრაინის მხარდამჭერ მშვიდობიან აქციას შეუერთდა. ელცინის ქალიშვილმა **ტატიანა იამაშევამ** კი სოციალურ ქსელებში მოწოდება გაავრცელა — „არ იომოთ!“, თან საკუთარ ინსტაგრამზე უკრაინის დროშის ფოტოც გამოაქვეყნა.

ბორის ელცინის ნათესავებს მხარი პოპულარულმა მუსიკოსმა **ანდრეი მაკარევიჩმაც** აუბა:

„თითქმის ყველა რუსს ჰყავს უკრაინელი მეგობარი, ან ნაცნობი, ან ნათესავი. ახლა ჩვენ მათ ვესვრით. რა ხდება? დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ეს სიგიჟე!“, — ამბობს მაკარევიჩი.

* * *

უკრაინა-რუსეთის **საომარ დაპირისპირებას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა გამოეხმაურა.** ამ წყებაში ერთგვარ დისონანსად გამოჩნდა „მოძმე ავღანეთიდან“ მოსული ინფორმაცია.

„სამხედრო დაჯგუფება „თალიბანი“, რომელმაც ავღანეთზე კონტროლი დაამყარა, უკრაინასა და რუსეთს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისკენ მოუწოდებს“.

არ მოგესმათ, საპირველაპრილო „ნიუსი“ არ გეგონოთ. ავღანეთის ხელისუფლებაში ძალადობრივი გზით მოსული „თალიბანი“ ძალადობას გმობს და იგივეს უკრაინის კონფლიქტში მონაწილე მხარეებისაგან მოითხოვს.

გავრცელდა ცნობა, რომ უკრაინამ შავ ზღვაში მდებარე კუნძული ზმეინი უკან დაიბრუნა. 600 კვ. მეტრი ფართობის მქონე პატარა კუნძულზე განვითარებული ტრაგიკული მოვლენები დღეს სრულიად მსოფლიოს ერთ-ერთი აქტიურად განხილვადი თემაა. 13-კაციანი უკრაინული გარნიზონი რუსებს ტყვედ არ ჩაბარდა, ბოლომდე იბრძოლა და ერთიანად სულ ამოწყდა.

ამ ტრაგედიის მომდევნო დღეს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ შემდეგი „დაზუსტებული“ და ოფიციალური „ინფორმაცია“ გაავრცელა:

„კუნძულ ზმეინის გარნიზონი, 82 სამხედრო მოსამსახურე რუსულ მხარეს საკუთარი სურვილით ტყვედ ჩაბარდა. დასავლეთის მასმედია გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებს...“

უკრაინის წინააღმდეგ უშუალოდ საომარი მოქმედებების გარდა დიდი პროპაგანდისტული დაწოლაც მიმდინარეობს. უკრაინული მხარე მიიჩნევს, რომ მის დასახმარებლად მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს მეტის გაკეთება შეუძლიათ. პლანეტის ცნობილმა პოლიტიკოსებმა თავისი საქმისა თავად იციან. აი, მსოფლიოს არაერთი არაპოლიტიკოსი „ცნობადი სახე“ კი უკრაინელებს მხარდაჭერას დაუფარავად უცხადებს.

თანამედროვეობის პოპულარული ამერიკელი მწერალი **სტივენ კინგი** პოლიტიკისა და მსოფლიოში მიმდინარე ამბებს ასე გამოეხმაურა:

„თითოეულმა ჩვენგანმა ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში, სათამაშო მოედანზე, ერთი რამ ვისწავლეთ: როცა დიდი ტიპი პატარას ჩაგრავს მის შესაჩერებლად ერთი-ორი მუშტი დაგჭირდება, მაგრამ ეს გამართლებულია“.

81 წლის ფეხბურთის ჯადოქარი **პელე,** რომელიც ამ დღეებში საავადმყოფოში მკურნალობის მორიგ კურსს გადის უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე საკუთარ რეაქციას გამოხატავს:

„ჩემი სოლიდარობა უკრაინელ ხალხს. ვლოცულობ და ღმერთს ვთხოვ, რომ მშვიდობამ, თავისუფლებამ და სიყვარულმა გაიმარჯვოს. წლები გადის, მაგრამ ჩემი ბავშვობის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. წესით, ბევრი რამ უნდა გვესწავლა იმ ტრაგედიების მაგალითებზე, რაც გადავიტანეთ და მშვიდობიანი მსოფლიო უნდა აგვეშენებინა“.

პოპულარული ამერიკელი მსახიობი, მომღერალი **მადონას** ყოფილი ქმარი, 61 წლის **შონ პენი** უკრაინისათვის ამ მძიმე დღეებში კიევში იმყოფება. ის აპირებს, რომ მიმდინარე ტრაგიკული საომარი მოვლენები დოკუმენტური ფილმისათვის თავად გადაიღოს. ფრონტის ხაზი კიევს მიუახლოვდა. ამის მიუხედავად შონ პენი უხიფათო ადგილას გადასვლას არ ჩქარობს და კიევში რჩება. უფრო მეტიც, გავრცელდა კადრები, სადაც ამერიკელი მსახიობი უშუალოდ ფრონტის ხაზზე იმყოფება და უკრაინელ ჯარისკაცებს ამხნევებს.

პირმშვენიერი და „სასტიკი მეომარი“ „მისის სმიტი“, იგივე **ანჯელინა ჯოლი** უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს სოციალურ ქსელში შემდეგნაირად ეხმაურება:

„როგორც ბევრი თქვენგანი, მეც ვლოცულობ უკრაინელი ხალხისთვის. ჩემი და ჩემი გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის კოლეგების მთავარი საფიქრალი არის ის, რომ ყველაფერი გაკეთდეს, რათა დაცული იქნეს ადამიანის ძირითადი უფლებები უკრაინაში. ჩვენ უკვე გვაქვს ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ და იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც უსაფრთხოების გამო საკუთარი სახლები დატოვეს“.

ბრედ პიტის ყოფილ მეუღლეს მისმა კოლეგამ, „რკინის ანრიმ“ — **არნოლდ შვარცენეგერმაც** აუბა მხარი:

„ვიცი, რას ნიშნავს ომის შემდეგ ოკუპირებულ ქვეყანაში გაზრდა და ისიც, რომ ომში და მის შემდეგ გამარჯვებული არ არსებობს. მყავს უკრაინელი და რუსი მეგობრები და ფანები. არც ერთ მათგანს არ უნდა ომი. დღეს უკრაინელი ხალხის გვერდით ვდგავარ. ვიზიარებ თქვენს მწუხარებასა და მშვიდობის იმედს. აღფრთოვანებული ვარ იმ სიმამაცითა და ჰუმანურობით, რომელსაც ამ ტრაგედიის დროს ინარჩუნებთ. ღმერთმა დაგლოცოთ“. — ვკითხულობთ შვარცენეგერის განცხადებაში.

უკრაინას მხარდაჭერა მსოფლიოში მოღვაწე არაერთმა პიროვნებამ გამოაუცხადა, მათ შორის მოქმედმა სპორტსმენმაც. არ შემიძლია ჩვენს ქვეყანაში კარგად ცნობილი ერთი ფეხბურთელის ემოციური პოსტი არ მოვიყვანო. იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ კაპიტანი **ჯორჯო კიელინი** რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულ საომარ მოქმედებებს შემდეგნაირად გამოეხმაურა:

„უკრაინაში ომის დაწყების დღეს, დილით გაღვიძება შოკისმომგვრელი და ტრავმული იყო. იმ სურათების ნახვის შემდეგ, უმწეობის განცდა დამეუფლა. ბოლომდე ვიმედოვნებდი, რომ საქმე აქამდე არ მივიდოდა და კრიზისი კონფლიქტში არ გადაიზრდებოდა. იმედი მაქვს, რომ დომინოს ეფექტი არ ამოქმედდება და დიპლომატია შეძლებს განკურნოს ასეთი სერიოზული ჭრილობა. ჩემი ფიქრები და სოლიდარობა უკრაინელ ხალხს და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ომის მსხვერპლნი არიან.“

მეომრები ომობენ, პოლიტიკოსები არსებული მდგომარეობის გადაჭრაზე ფიქრობენ, მშვიდობიანი მოქალაქეები უხიფათო ადგილების მოძიებას ცდილობენ. აღმოჩნდა, რომ უკრაინა-რუსეთის სამხედრო დაპირისპირების მიმდინარეობისას ჰაკერებსაც „სპეციფიური“ საქმე ჰქონიათ.

პროტესტს შეუერთდა ქართული ფესვების მქონე ცნობილი მწერალი **ბორის აკუნინიც.**

„24 თებერვალს რუსეთის ისტორიის ახალი, საშინელი ეპოქა დაიწყო. ბოლომდე მჯეროდა, რომ პუტინი ამ სამარცხვინო ომს არ წამოიწყებდა. სამწუხაროდ, შევცდი. ყოველთვის მეგონა, რომ გონება ყოველთვის იმარჯვებს. შევცდი. რუსეთში სიგიჟემ იმარჯვა. იღუპება ხალხი, იღვრება სისხლი. რუსეთს ფსიქიურად არასრულფასოვანი დიქტატორი მართავს, რომელსაც რუსი ერი მორჩილად მიყვება“, — განაცხადა ბორის აკუნინმა.

სანტიაგო გაუჩო

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ „ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲐ“!..

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ **თავისი სასამართლოს ბოლო სხდომაც პოლიტიკურ ტრიბუნად გამოიყენა, ძირითადად, მხარდამჭერებს და „რეიტინგულ“ ტელევიზიებს მიმართავდა. მოსამართლის შენიშვნებზე, ფაქტობრივად, არ რეაგირებდა, ხოლო რუსი ოკუპანტებისა და საერთაშორისო პოლიტიკური ელიტის გასაგონად, მიმართვის ნაწილი არასახელმწიფო ენაზე წაიკითხა... ფაქტია, „მიშა მაგარიას“ მხარდამჭერებიც მოუთმენლად ელოდნენ ლიდერის „პირდაპირ ეთერში“ ყოველ გამოჩენას. აქედან გამომდინარე, იქნებ გვეფიქრა, რამდენად გონივრულია ნებისმიერი ბრალდებულის, მით უმეტეს, ყოფილი პრეზიდენტის (ანუ, მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ არჩეულის..), მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესულ მდგომარეობაში მყოფის ან არაადეკვატურად მოქმედის „ლაივში“ ჩვენება. ამასთან, თუ განსასჯელის სკამზე იმ დროშისა და გერბის ფონზე ზის, რომლებსაც, ფაქტობრივად, თვითნებურად თავის გაკეთებულად თვლის... თავი მამა აბრამის ბატკანი ჰგონია!**

1997 წელს ფოტო-ვიდეოკამერებისა და ტელევიზიის სასამართლო პროცესებზე დაშვებით საქართველოს პარლამენტმა აშკარად გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წარმომდგენლის რჩევით, სიტყვის თავისუფლებას უპირატესობა უდანაშაულობის პრეზუმფციის დაკნინების ხარჯზე მიანიჭა. ფაქტია, ამ შემთხვევაში, ისევ თვით რომის პაპზე მეტი კათოლიკენი აღმოვჩნდით, ვინაიდან ტელეტრანსლაციები უშუალოდ სასამართლო სხდომის დარბაზიდან დავიწყეთ, თუმცა იმავე აშშ-ში (ინგლისშიც, გერმანიასა და საფრანგეთშიც...) დღემდე თავს იკავებენ ამისაგან და არცთუ უსაფუძვლოდ... მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე სააკაშვილი „რევოლუციური“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისთვის „წლის ადამიანად“ აღიარეს...

სამაგიეროდ, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ გზით ხელისუფლებაში მოსულ ძალებს სხდომების „გამჭვირვალობამ“ აშკარა დისკომფორტი შეუქმნა (გამამტყუნებელი განაჩენების წილმა 99% შეადგინა...), კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებებით ფოტო-კინო-ვიდეოგადაღება, არა მარტო სხდომათა დარბაზებში, არამედ სასამართლოს შენობებშიც კი აიკრძალა. ანუ, ერთი უკიდურესობიდან ისევ მეორეში გადავვარდით... მოგვიანებით, ცხადია ისევ „ნაციონალურ ინტერესებში“, სასამართლოს შენობებს მიმდებარე ტერიტორიებიც დაემატა და „საქმის განხილვის საქვეყნოობა“ („ღიაობა“, „საჯაროობა“... ფაქტია, პარლამენტი დღემდე ტერმინის თაობაზეც ვერ ჩამოყალიბებულა...) იმ დონემდე შეიზღუდა, რომ, მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 ივნისის №32 ბრძანებით „სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ეზო, სასამართლოს შენობა) აიკრძალა ფოტო, კინო, ვიდეოაპარატურის, მობილური ტელეფონების და ჩაწერის ფუნქციის მქონე სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა“. ამ ბრძანების (ფაქტობრივად, „ხუშტურის“...) ტექსტი სასამართლოში ყველას ურიგდებოდა, ხოლო სასამართლოს ეზოში განთავსდა ფოტო და ვიდეოგადაღების ამკრძალავი სპეციალური ნიშნები...

ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზებში კვლავ დაუშვეს ფოტო-ვიდეო და ტელეკამერები... ამ აშკარად პოპულისტური ქმედების ნეგატიური შედეგი ნათლად გამოჩნდა, თუნდაც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის და თბილისის ყოფილი მერის ან „თი ბი სი ბანკის“ ყოფილი ხელმძღვანელების საქმეების გაშუქებისას, როდესაც ბრალდებულები პირდაპირ ეთერში აკეთებდნენ პოლიტიკურ განცხადებებს და, ფაქტობრივად, ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლებს აყენებდნენ შეურაცხყოფას, ხოლო, ოჯახის წევრების მკვლელობაში ბრალდებულ „მაგდა პაპიძის საქმე“ თვალსაჩინო მაგალითია, თუ რა ზომის მორალური ზიანი (თანაც გამოუსწორებელი...) შეიძლება მიადგეს რიგით მოქალაქეს სისხლის სამართლის საქმის განხილვის „საქვეყნოობის“ გონივრულ ფარგლებში შეუზღუდაობით.

დღევანდელ პირობებში ტელე (ვიდეო, ფოტო) საშუალებების შეუზღუდავი დაშვება სასამართლო სხდომათა დარბაზში (მით უმეტეს, თუ ჯერჯერობით არც სასამართლოა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი...), ფაქტობრივად, თითოეულს გვაძლევს საშუალებას, უკითხავად ჩავერიოთ ადამიანის პირად ცხოვრებაში, გავხდეთ მისი ტრაგედიის მაყურებლები და, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ადამიანი, რომელსაც კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად უდანაშაულოდ მიიჩნევს და სასამართლოს მიერ მისი გამართლებაც არაა გამორიცხული, შეგვიძლია განსასჯელის სკამზე (ზოგჯერ „გალიაშიც“...) ვიხილოთ, რაც ყოველი ნორმალური ადამიანისთვის თავისთავად წარმოადგენს კანონით გაუთვალისწინებელი სასჯელის განსაკუთრებულ სახეობას... (ცხადია, უკრაინის მოქალაქე სააკაშვილსაც ეხება...).

გარდა ამისა, არც მეორე უკიდურესობაა გამორიცხული, როდესაც ტელეკამერებს სასამართლო პროცესზე სანახაობის („შოუს“) ელემენტები შეაქვთ და „ელიტური“ განსასჯელები შინაგანი რწმენის თანახმად კი აღარ იქცევიან, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ რას მოელიან მათგან ან როგორი „იმიჯი“ აქვთ შექმნილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ამასთან, ზოგიერთმა განსასჯელმა სასამართლოსადმი ჭეშმარიტების დადგენაში ხელშეწყობისა და გულწრფელი მონანიების ნაცვლად, კიდეც რომ სურდეს ამის გაკეთება, ტელეკამერების წინ, შესაძლოა, ძირითადი აქცენტი პოლიტიკურ განცხადებებსა და მისთვის არასასურველი ხელისუფლებისა თუ ცალკეული პირების ლანძღვაზე გააკეთოს. არც ის არის გამორიცხული, რომ განსასჯელმა თავი შეიკავოს ზოგიერთ გარემოებებზე საუბრისგან ან დუმილის უფლება გამოიყენოს (მაგ., ნიკა გვარამიამ უარი განაცხადა პროკურორის მიერ დასმულ კითხვებზე უპასუხა...) გარკვეული უხერხულობა ექმნებათ იმ ადამიანებსაც, რომლებიც სასამართლოში მოწმის სახით არიან გამოძახებულნი და მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ საქმესთან შეიძლება მხოლოდ უნებურად იყვნენ დაკავშირებულნი, ტელევიზიით გადაცემულ სიუჟეტში, თუნდაც მოკლე დროით მათმა გამოჩენამ, სავსებით შესაძლებელია, საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები აღძრას და მათ სახელს რეპუტაციის შელახვის რეალური საფრთხე შეუქმნას.

მხედველობიდან ნურც ის ზოგიერთი მოსამართლე გამოგვრჩება, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უფრო მეტად, შეიძლება, იმაზე წუხდეს, თუ რა რაკურსით უჩვენებენ საღამოს საინფორმაციო გადაცემებში და მის რომელ გამონათქვამს აირჩევენ განსაქიქებლად (არც ის არის გამორიცხული, „ელიტური“ განსასჯელისთვის შენიშვნის მიცემა მოერიდოს...). გარდა იმისა, რომ ტელეკამერები სასამართლოს სხდომის დარბაზში ზედმეტ დაძაბულობას ქმნიან, ისიც სავარაუდებელია, რომ მოსამართლე საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაზე მეტად საკუთარი პერსონის წარმოჩენითაც იყოს დაგულისყურებული და გადაწყვეტილების გამოტანისას მასმედიით საზოგადოებაში წინასწარვე შექმნილ აზრს (კონიუქტურას) უფრო გაუწიოს ანგარიში, ვიდრე შინაგან რწმენას (ამის გამო, შესაძლებელია, „ელიტური“ განსასჯელისთვის შენიშვნის მიცემაც კი მოერიდოს...)...

ტელეეკრანებზე გამოჩენისას ჩვენს პარლამენტარებს კანონებში გაპარული შეცდომების (მინისტრებს კი საქმიანობაში დაშვებული აშკარა ხარვეზების) აღიარებაც უჭირთ, ჩვენ კი განსასჯელს, რომელმაც მანამდე, თუნდაც, მართლაც „გულწრფელად და ძალდაუტანებლად“ აღიარა ჩადენილი დანაშაული, საქვეყნოდ, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიოს თვალწინ ვთხოვთ ამის გაკეთებას, შემდგომ კი გვიკვირს, თუ რატომ არ აკეთებს ამას ტელეკამერის წინ და რატომ უარყოფს წინასწარი გამოძიებისას ნებაყოფლობით მიცემულ ჩვენებებს.

არც ის არის გამორიცხული, რომ საზღვარგარეთელი მეთვალყურეების აღიარებით, ჯერ კიდევ ნაწილობრივ თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მქონე ჩვენს ქვეყანაში სასამართლო სხდომათა დარბაზში შეტანილი აპარატურა, ტელეკომპანიების ფაქტობრივმა მფლობელებმა, საკუთარ ან თუნდაც მოსახლეობის ცალკეული მცირე ჯგუფების (პოლიტიკური გაერთიანებების, „ოლიგარქების“ ან ე. წ. ქურდული სამყაროს) ინტერესებისთვის გამოიყენონ და, „ხალხის“ სახელს ამოფარებულმა, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებით, „რეიტინგული“ ტელეარხები სასამართლო ხელისუფლებაზე „ზედამხედველობისა“ და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მძლავრ ბერკეტად აქციონ.

სწორედ ამიტომ, თუ სამოქალაქო, სამეწარმეო და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლოში განხილვისას სხდომათა დარბაზში ტელევიზიის დაშვება სადავოდ შეიძლება არ გაგვეხადა (თუმცა, მიზანშეწონილად ვთვლი, მოდავე მხარეთა თანხმობა ამ შემთხვევაშიც ყოფილიყო გათვალისწინებული), სისხლის სამართალწარმოებაში, უმჯობესი იქნებოდა, საერთოდ აკრძალულიყო ფოტო-ვიდეოგადაღება და ტელეტრანსლაცია სასამართლოს სხდომის დარბაზიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფარული თუ ღია გადაღება წარმოებს სასამართლო ხელისუფლების ინტერესებში ან სხდომათა დარბაზში წესრიგის უზრუნველსაყოფად. ამასთან, გადაღება მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლის გადაწყვეტილებით, მისი მითითების შესაბამისად და სპეციალური წესების დაცვით უნდა წარმოებდეს (ფირები დაერთვება საქმეს და გამოქვეყნდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით). ვიდეო და ტელეკამერები მოსამართლეს კი არ უნდა აკონტროლებდნენ, არამედ პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, თავად მოსამართლეს უნდა შეეძლოს მათი გამოყენება პროცესის კონტროლისთვის.

სისხლის სამართალწარმოებაში „საძვეყნოობის“ უზრუნველსაყოფად აუცილებლობას არ წარმოადგენს უშუალოდ სხდომათა დარბაზიდან, როგორც თეატრალური წარმოდგენიდან (ან თუნდაც პარლამენტიდან), პირდაპირი ტელეტრანსლაციების მოწყობა. სხდომაზე დასწრება და ინფორმაციის გავრცელება ყველას შეუძლია, ხოლო განაჩენი ღია სხდომაზე საძვეყნოდ ცხადდება.

იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება და რეალურად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების ფორმირება, ასევე შეჯიბრებითობის პრინციპის დანერგვა და ადვოკატურის ბრალდების მხარესთან უფლებრივად გათანაბრება მომავლის საქმეა, გამართლებულად მივიჩნევ, ჯერჯერობით არ დაგვეშვა ფოტო (ვიდეო, ტელე) კამერები უშუალოდ სასამართლო სხდომათა დარბაზში, რისთვისაც კანონმდებლობის დაუყოვნებლივ შეცვლა იქნება საჭირო. შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებით პარლამენტს 2021 წლის 8 დეკემბერს მივმართე. იმედი მაქვს, განხილვაზე მიმიწვევენ და გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

მანამდე კი უპრიანი იქნებოდა, თავად მასმედიას, თუ სულ არ იტყოდა უარს სასამართლოს სხდომათა დარბაზებიდან ტელეტრანსლაციებზე, თავი შეეკავებინა აქცენტის გადატანისგან განსასჯელთა სკამზე აღმოჩენილი ან მოწმის სახით დაბარებული ადამიანების გამოსახულებების ჩვენებაზე, რითაც უდაოდ ხელს შეუწყობდა ადამიანის უფლებების დაცვას და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ხელყოფის შემთხვევებს მაინც შეამცირებდა.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲙᲐᲮᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სამართლის დოქტორი

ᲑᲐᲩᲝ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲛ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ყოფილმა მინისტრმა, ბაჩო ახალაიამ რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულება დატოვა. საპატიმროსთან მას ახლობლები და მეგობრები დახვდნენ.

მისი თქმით, ის პოლიტიკაში დაბრუნებას არ აპირებს.

„პოლიტიკოსობას არ ვაპირებ ნამდვილად, ეს არ არის ჩემი საქმე“, — აცხადებს ახალაია. ბაჩო ახალაიამ პატიმრების წამების საქმეზე 9-წლიანი სასჯელი მოიხადა.

* * *

„ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ვარ ჟურნალისტებს უფრო გაინტერესებთ პარტიული პოლიტიკა, ვიდრე მას. მისგან გაკეთებული ეს განცხადება არაერთხელ მოგისმენიათ. დღესაც პირველი განცხადება, რაც გააკეთა, არის ის, რაც გაინტერესებდათ. ის პარტიულ პოლიტიკაში ჩართული არასდროს ყოფილა და ახლა მით უმეტეს თავად ამბობს, რომ თუკი რამეს არ აპირებს, არ სურს დაკავდეს პოლიტიკით. ჩემი ადამიანური სურვილი ნამდვილად იყო, რომ დღეს აქ, სოლიდარობის ნიშნად ვყოფილიყავი, მიუხედავად იმისა, რომ მასთან მე არ მაკავშირებდა არც ნაცნობობა და მით უფრო ახლო ურთიერთობა. წარმოიდგინეთ 10 წელი სამარტოო საკანში და ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი“, — განუცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკა მელიამ ჟურნალისტებს რუსთავის ციხესთან.

უკრაინაში გასაგზავნ დახმარებას მთელ საქართველოში აგროვებენ

გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივით გურიის რეგიონში უკრაინის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვება იწყება. ინიციატივას უერთდებიან სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოხელეები. სამივე მუნიციპალიტეტი დამატებით უზრუნველყოფს თანხების მობილიზებას.

მერიის შენობებში, სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში, ნებისმიერ მოქალაქესა თუ ბიზნესის წარმომადგენელს შესაძლებლობა ექნება, დატოვოს უკრაინელი ხალხისთვის განკუთვნილი შემოწირულობა.

„პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ინიციატივით, ვიმსჯელეთ შემდგომ ნაბიჯებზე და სარეზერვო ფონდიდან თანხას გამოვყოფთ. ძალიან განვიცდით ოზურგეთის დაძმობილებულ ქალაქ გენიჩესკში მიმდინარე მოვლენებს და მათ თავს დამტყდარ უბედურებას — მჯერა, მალე დადგება დრო, როცა გენიჩესკი დაიბრუნებს თავისუფლებას და ჩვენც, მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ ომისგან დანგრეული ქალაქის აღდგენაში. ჩვენი სოლიდარობა უკრაინას და უკრაინელებს. ამ მძიმე განსაცდელში ჩვენ მათ გვერდით ვართ!“, — აღნიშნავს ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე.

* * *

აჭარა უკრაინის დამეგობრებულ რეგიონებს და ქალაქებს ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევს. ფინანსები მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა. განცხადება აჭარის ეკონომიკის მინისტრმა გააკეთა. ჯაბა ფუტკარაძის თქმით, მოხდება მედიკამენტებისა და პირველადი მოხმარების აუცილებელი ნივთების შესყიდვა და უკრაინული მხარისთვის გადაცემა.

ფუტკარაძის თქმით, აჭარის მთავრობას აქვს აქტიური კომუნიკაცია დამეგობრებულ უკრაინულ რეგიონებთან და ჰუმანიტარული ტვირთის შეძენაც მათი საჭიროებების მიხედვით იგეგმება. რაც შეეხება აჭარაში მყოფ უკრაინელ ვიზიტორებს, ტურიზმის დეპარტამენტი მათ სასტუმროებში განათავსებს.

* * *

ძველმო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი დოხტურიშვილი, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ადმინისტრაციისა და რეგიონის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან ერთად, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, ჰუმანიტარული ტვირთის მობილიზებას უზრუნველყოფს, — ამის შესახებ ინფორმაციას ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე, რეგიონის შვიდივე მუნიციპალიტეტის მერების სარეზერვო ფონდიდან შესაბამისი თანხების გამოყოფა მიმდინარეობს, რომელიც პირველადი მოხმარების ნივთებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შეძენას მოხმარდება. ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირებას ქვემო ქართლის რეგიონი საქართველოს მთავრობის დახმარებით უზრუნველყოფს.

ვეთანხმებით უკრაინის მოსახლეობას, ვაგრძელებთ თბილისელთათვის მიცემული პირობის შესრულებას

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა.

„კიდევ ერთხელ მინდა გამოვეხმაურო უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს. შემაშფოთებელია იქ მიმდინარე ომი. უკრაინაში შეჭრა და სამხედრო მოქმედებების წარმოება მიუღებელია და რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის წესებსა და ყველანაირ პრინციპებს. რთულია, ემოციების გარეშე უყურო ამ ყველაფერს. ჩვენ ყველას გვტკივა თითოეული დაკარგული სიცოცხლე, ცრემლი და ჭრილობა. მე უკრაინასთან განსაკუთრებული სიყვარული მაკავშირებს. გარკვეული წლების განმავლობაში, მომიწია უკრაინაში ცხოვრება, კერძოდ კიევში. ძალიან ბევრი დასამახსოვრებელი დღე და წუთი მახსოვს. ბევრი წარმატება, გამარჯვება და დიდი სიყვარული მაკავშირებს უკრაინელ ხალხთან. მინდა უკრაინელ ხალხს ჩემი სოლიდარობა კიდევ ერთხელ გამოვუცხადო“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ საქართველოს დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებს უკრაინისა და უკრაინაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

გარდა ამისა, დედაქალაქის მერმა აღნიშნა, რომ თბილისში უკრაინელი მოქალაქეებისთვის ჰუმანიტარული დახმარება შეგროვდება. კახა კალაძემ მოადგილეს, ილია ელოშვილს შესაბამისი ადგილის გამოყოფა დაავალა, სადაც ნებისმიერი მსურველი ჰუმანიტარული ტვირთის მიტანას შეძლებს.

დედაქალაქის მერის თქმით, მზადაა, თავშესაფრის მაძიებელი უკრაინული ოჯახები საცხოვრებლით უზრუნველყოს. თბილისის მერის თქმით, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა უკრაინელი სტუმრებისთვის უფასო იქნება.

* * *

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ დედაქალაქის მერია სოციალური საწარმოების ფინანსური მხარდაჭერისა და ახალგაზრდების დასაქმების მიზნით, სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსების პროგრამას იწყებს.

კახა კალაძის განცხადებით, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება სოციალური მისიის მქონე პროექტები, ასევე, ისეთი პროდუქციისა და სერვისების შექმნა, რომელთა განხორციელების პროცესში ახალგაზრდები დასაქმდებიან და ძირითადი მომხმარებლებიც ისინი იქნებიან. მისივე თქმით, ერთი პროექტის ფარგლებში, დაფინანსების მაქსიმალური ზღვარი 30 000 ლარს შეადგენს.

„ვიწყებთ ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსების პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული სოციალური საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერას და ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელსაც ექნება ერთი მხრივ, სოციალური, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკური მიზანი, მოემსახურება შემოსავლის მიღებას და ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. დაფინანსდება სოციალური მისიის მქონე პროექტები მცირე ზომის საწარმოების, ლაბების, შემოქმედებითი სტუდიების, სახელოსნოების, ჰოსტელების, კაფე-ბარების, სასწავლო და გასართობ-რეკრეაციული ცენტრების შექმნისა და განვითარების მიზნით“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

* * *

დედაქალაქის მერმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ვაკის რაიონში, ლორთქიფანიძის ქუჩის №10-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებულ გამაგრების სამუშაოებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები საკუთარ სახლებს დაუბრუნდნენ.

მისი თქმით, ფერდი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა, გამაგრებულია და მისი ჩამოშლის საფრთხე აღარ არსებობს. ლორთქიფანიძის №10-ში მდებარე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოებისას, ფერდი ჩამოიშალა და ადგილობრივი მცხოვრებლების გაყვანა ვაკის გამგეობას ქირით მოუწია. ნახევარი წლის განმავლობაში, გამგეობა ქირით 65 ოჯახს უზრუნველყოფდა.

მისი თქმით, კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცეც მოეწყობა.

„აწარმოე საქართველოში“

უკრაინელი ხალხის სოლიდარობის ნიშნად, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ქართულ კომპანიებთან ერთად ფართომასშტაბიან კამპანიას იწყებს. უკვე სააგენტოს ოფისში ქართულ კომპანიებს საშუალება აქვთ საკუთარი პროდუქცია მიიტანონ, რომელსაც სააგენტო ეტაპობრივად დაურიგებს, როგორც საქართველოში მყოფ უკრაინის მოქალაქეებს, ასევე გააგზავნის უკრაინაში.

სააგენტოს დირექტორის, მიხეილ ხიდურელის ინფორმაციით, ამ დროისთვის საკუთარი პროდუქცია სააგენტოს უკვე მიაწოდა 20-ზე მეტმა კომპანიამ, თუმცა როგორც ხიდურელი განმარტავს, სააგენტო მუდმივ კონტაქტზეა ადგილობრივ კომპანიებთან და მათი უმრავლესობა მზად არის დახმარებისთვის.

რაც შეეხება უშუალოდ პროდუქციას, საუბარია, როგორც საკვებსა და სასმელზე, ასევე ტანსაცმელზე, არამალფუჭებად პროდუქტებზე, ყოველდღიური მოხმარების და ჰიგიენურ საშუალებებზე.

სანქციები რუსეთს

კანადა უკრაინას ტანკსაწინააღმდეგო იარაღსა და საბრძოლო მასალას მიაწვდის და რუსეთიდან ნედლი ნავთობის იმპორტს აკრძალავს. ამის შესახებ კანადის პრემიერ-მინისტრმა, ჯასტინ ტრუდომ განაცხადა.

კანადამ უკვე გაუგზავნა უკრაინას იარაღი და არალეტალური შეიარაღება და მხარი დაუჭირა მთელ რიგ სანქციებს, მათ შორის რუსეთის SWITER-ის სისტემიდან გათიშვას.

* * *

ფინეთი უკრაინას იარაღსა და საბრძოლო მასალას გაუგზავნის. ამის შესახებ ფინეთის პრემიერ-მინისტრმა, სანა მარინმა განაცხადა.

ფინეთის თავდაცვის მინისტრის, ანტი კაიკონენის განმარტებით, უკრაინა ფინეთისგან მიიღებს 2 500 ავტომატს, 150 000 ტყვიას, 1 500 ტანკსაწინააღმდეგო საშუალებასა და 70 000 სურსათის პაკეტს. აღნიშნული გადაწყვეტილება ფინეთის პოლიტიკის შეცვლას ნიშნავს, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდიდან შემდეგ მიუმხრობელი ქვეყნის იმიჯს ინარჩუნებდა.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალები ევროკავშირის დახმარების ფარგლებში 70 სამხედრო თვითმფრინავს მიიღებს. ინფორმაციას უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა სოციალურ ქსელში აქვეყნებს.

უკრაინის სამხედრო ძალების ცნობით, თვითმფრინავებს უკრაინა ევროკავშირის სამი ქვეყნისგან მიიღებს. **პოლონეთი გადასცემს მიგ-29 ტიპის 28 თვითმფრინავს, სლოვაკეთი — მიგ-29 ტიპის 12 თვითმფრინავს, ხოლო ბულგარეთი — მიგ-29 ტიპის 16 თვითმფრინავსა და სუ-25 ტიპის 14 თვითმფრინავს.** მანამდე, ევროკავშირმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და უკრაინისთვის იარაღის შესაძენად და მისაწოდებლად 450 მილიონი ევრო გამოყო.

* * *

იაპონიამ რუსეთის ოფიციალური პირებისა და ასევე 49 კომპანიის, ორგანიზაციისა და ბანკების წინააღმდეგ სანქციები დააწესა. როგორც განცხადება იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

სიაში მოხვდნენ რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი, თავდაცვის მინისტრი, სერგეი შოიგუ, გენშტაბის ხელმძღვანელი, ვალერი გერასიმოვი, უშიშროების საბჭოს მდივანი, ნიკოლაი პატრუშევი და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევი.

ამერიკიდან 12 რუსი დიპლომატი გააძევეს

ეროვნული უსაფრთხოების მიზეზების გამო, ოფიციალურმა ვაშინგტონმა ამერიკიდან 12 რუსი დიპლომატი გააძევა. გავრცელებული ინფორმაციით, საუბარია გაეროში რუსეთის წარმომადგენლობის 12 დიპლომატზე.

გაეროში აშშ-ის მისიამ რუსი დიპლომატები დაახასიათა, როგორც დაზვერვის მუშაკები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ჯაშუშურ საქმიანობაში, რომელიც უარყოფითად მოქმედებს აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. გაეროში რუსეთის ელჩმა ვასილი ნებენზიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დიპლომატებს 7 მარტამდე სთხოვეს აშშ-ის დატოვება. მისი თქმით, რუსეთი ამ ნაბიჯს უპასუხებს, რადგან ეს დიპლომატიური პრაქტიკაა.

◎ ვერსიაც, ფაქტებიც...

ცეცხლი – თბილისში, პროტესტი – მოსკოვში, „დიდება“ – სკოპიეში

ვიდრე უკრაინაში ბომბები ფეთქდება და უდანაშაულოთა სიცოცხლეებს იწირავს, ხანძარი თბილისშიც მოხდა, მაგრამ ვინაიდან კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, სანამ ოფიციალური ვერსიის გაჟღერებამდე მივა გამოძიება, ვარაუდის დონეზე ერთ არცთუ უსაფუძვლო მოსაზრებას გავეცნოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა გამორიცხული არაფერია.

მაშ ასე – საუბარია იმ მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე, რომელმაც წლეულს სექტემბერში ევრობასკეტის ერთ-ერთ ჯგუფს უნდა უმასპინძლოს. მოგეხსენებათ, ქართული გულარხეინობისა თუ რაიმე სხვა, გაცილებით უპატიებელ გარემოებათა გამო, ფიბას კომისიის ამასწინანდელი საინსპექციო ვიზიტის შედეგების მიხედვით, ისედაც ცაიტნოტში აღმოვჩნდით და ობიექტის ჩაბარების უკანასკნელ ვადად ივნისი დაგვისახეს, როცა საქართველოს დედაქალაქში მუნდიალ – 2023-ის შესარჩევი ტურნირისა და, პარალელურად, სატესტო მატჩი ესპანეთთან უნდა გავმართოთ.

ვთქვათ, ღმერთმა ნუ ქნას და, ზაფხულამდე ვერ მოვასწარით ღირსების საქმის წარმატებით დასრულება და საქვეყნოდ მოვიჭერით თავი – ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, აღნიშნული ექვსეულის მიღება სხვა სახელმწიფოს დაეკისრება და ერთ-ერთ რეალურ სათადარიგო ვარიანტად თურქეთი მოიაზრება, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენი ჯგუფის წევრია.

ჰოდა, სწორედ მეზობლებს უკავშირდება ზემოთ ნახსენები ჭორ-მართალიც: ვინაიდან უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე დასაქმებულთა შორის ბოსფორისპირელებიც არიან, სავსებით შესაძლებელია, კვირა საღამოს საბურთალოზე მათ იმამაძაღლესო.

ამასობაში ცსკა-ს დატოვება გადაწყვიტა ოჯახთან ერთად ესპანეთში მყოფმა **თორნიკე შენგელიამ,** რომელსაც არმიელებთან 2020 წელს გაფორმებული 3-წლიანი კონტრაქტი აკავშირებდა და მიმდინარე სეზონში ევროლიგის 15 მატჩში საშუალოდ 12,7 ქულას, 4,7 მოხსნასა და 2,5 პასს აგროვებდა.

რაც შეეხება მომხდარის მიზეზს, მოსკოველთა საიტზე ვკითხულობთ: „ოჯახური და პირადი მიზეზებით, რაც დაკავშირებულია რუსეთსა და უკრაინას შორის არსებულ სიტუაციასთან, თორნიკე შენგელიამ და იფე ლუნდბერგმა კლუბი დატოვეს. მალე სამშობლოში დაბრუნდებიან იოჰან ვოიტმანი (გერმანია) და მარიუს გრიგონისი (ლიეტუვა).

კალათბურთელთა მოქმედებები კონტრაქტის პირობებისა და კლუბის რეგლამენტის დარღვევაა, თუმცა გუნდი გაგებით ეკიდება მოთამაშეთა მდგომარეობას. მათთან შეთანხმების სტატუსი მას შემდეგ გირკვევა, რაც ევროპაში პოლიტიკური და სპორტული ვითარება დარეგულირდება.

დაბოლოს – სამაღარიჩო ინფორმაცია: საქართველოს ნაკრები ვადამდე გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჯგუფის მეოთხე შეხვედრაში მესამე გამარჯვება სკოპიეში მოიპოვა.

ჩრდ. მაკედონია – საქართველო 65:79
(21:18, 14:25, 17:15, 13:21)

საქართველო: მაკფადენი (24), შერმადინი (13), ბოქოლიშვილი (11), სანაძე (10), ბერიშვილი (8), ჯინჭარაძე (8), ბექაური (3), ლონდარიძე (2) ქულა. ითამაშა აგრეთვე ბაქრაძემ.

მწვრთნელი – ილიას ზუროსი.

მართალია, მასპინძლებს კორონავირუსის გამო მწვრთნელი ბაიჩი აკლდათ, მაგრამ თბილისური მატჩისგან განსხვავებით „ვალენსიას“ გამთამაშებელი დმიტრიევიჩი შეემატათ, რომელმაც 25 ქულით ულიდერა კიდეც, მაგრამ...

უიღბლო დასაწყისის მიუხედავად, „ჯვაროსნებმა“ ამჯერადაც ღირსეულად მიიყვანეს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე.

დავძენთ, რომ ბრძოლის წინ ჰიმნების შესრულებისას ორგანიზატორებმა შეცდომით „დიდება“ დაუკრეს. მადლობა მათ!

საფეხბურთო მოზაიკა

საქართველოს 34-ე ჩემპიონატი. „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგა. პირველი ტური. „ბათუმი“ – „სიონი“ 4:0, „დინამო“ – „ტორპედო“ 4:0, „დილა“ – „გაგრა“ 2:1, „ლოკომოტივი“ – „თელავი“ 0:1, „საბურთალო“ – „სამგურალი“ 2:1.

მეორე ტურში ითამაშებენ: „გაგრა“ – „საბურთალო“, „ტორპედო“ – „დილა“, „ბათუმი“ – „დინამო“ (4 მარტი), „სიონი“ – „თელავი“, „სამგურალი“ – „ლოკომოტივი“ (5 მარტი).



ახალი სეზონის გამორჩეულ სიახლედ თბილისის „დინამოს“ მიერ ჩვენი საამაყო კლუბისა და გაზეთ „სარბიელის“ აწგარდაცვლილი შესანიშნავი ფოტორეპორტიორისა და პიროვნების **ბადრი კეთილაძის** სახელობის ყოველწლიური პრემიის დაწესება უნდა მივიჩნიოთ. ისიც გაცხადდა, რომ ლაურეატის დაჯილდოების კვალდაკვალ, ღონისძიებას ფოტოგამოფენაც დაამშვენებს.

* * *

ინგლისი. ლიგის თასის ფინალი. „ლივერპული“ – „ჩელსი“ 0:0 (პენალტებით – 11:10). ეს „წითლების“ მეცხრე ტიტულია, „არისტოკრატები“ კი უკრაინაში გაჩაღებული ომის გამო პუტინის გარემოცვის წევრმა ოლიგარქმა **რომან აბრამოვიჩმა** დატოვა, რომელმაც „სტემფორდ ბრიჯის“ ბინადრებს 20-წლიანი ძლევამოსილი ეპოქის განმავლობაში მრავალი წარმატება მოუტანა, მათ შორის ორჯერ – ჩემპიონთა ლიგის მოგება.

პრემიერლიგა. „ევერტონი“ – „სიტი“ 0:1, „მანჩესტერი“ – „უოტფორდი“ 0:0, „ლიდსი“ – „ტოტენჰემი“ 0:4.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ბილბაო“ 4:0, „რაიო ვალეკანო“ – „რეალი“ 0:1, „სევილია“ – „ბეტისი“ 2:1, „მალიორკა“ – „ვალენსია“ 0:1 (**მამარდაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა).

იტალია. „მილანი“ – „უდინეზე“ 1:1, „ლაციო“ – „ნაპოლი“ 1:2, „ჯენოა“ – „ინტერი “ 0:0, „ემპოლი“ – „იუვენტუსი“ 2:3.

გერმანია. „აინტრახტი“ – „ბაიერნი“ 0:1, „აუგსბურგი“ – „დორტმუნდი“ 1:1, „ლევერკუზენი“ – „ბილეფელდი“ 3:0, „ბოხუმი“ – „ლაიფციგი“ 0:1. **მეორე ბუნდესლიგა.** „ჰამბურგი“ – „ვერდერი“ 2:3 (**ჩაკვეტაძე** შესვენებაზე შეცვალეს).

* * *

„ზენიტის“ უკრაინელმა მცველმა **იაროსლავ რაკიცკიმ** პეტერბურგელებთან კონტრაქტი გაწყვიტა. მან მის სამშობლოში რუსეთის შეჭრა დაგმო და საომარი მოქმედებების შეწყვეტა მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ რაკიცკი „შახტარიდან“ ნევისპირა ქალაქში 2019 წელს გადავიდა და სამი სეზონის განმავლობაში გამართულ 18 შეხვედრაში გატანილ 7 გოლს 11 შედეგიანი გადაცემა დაუმატა.

პარალელურად, ოჯახის წევრებთან ერთად უკრაინიდან გაყვანას ბრაზილიის მთავრობას თხოვენ დონბასელთა და კიევის „დინამოს“ იქაური ლეგიონერები **ნერეში, პედრინიო, ვიტაო, დოდო, ანტონიო, მარლონი, ფერნანდო, მაიკონი, დე პენა და ვიტინიო.**

* * *

გაუწყებთ ევროტურნირების მერვედფინალური რაუნდის წილისყრის შედეგებს.

ევროპის ლიგა
10 და 17 მარტი

„რეინჯერსი“ – „ცრვენა ზვეზდა“, „ბრაგა“ – „მონაკო“, „პორტუ“ – „ლიონი“, „ატალანტა“ – „ლევერკუზენი“, „სევილია“ – „ვესტ ჰემი“, „ბარსელონა“ – „გალათასარაი“, „ლაიფციგი“ – „სპარტაკი“, „ბეტისი“ – „აინტრახტი“.

კონფერენსლიგა
10 და 17 მარტი

„მარსელი“ – „ბაზელი“, „ლესტერი“ – „რენი“, პაოკ – „გენტი“, „ვიტესი“ – „რომა“, „ეინდჰოვენი“ – „კოპენჰაგენი“, „სლავია“ – „ლინცერი“, „ბოდო გლიმტი“ – „ალკმაარი“, „პარტიზანი“ – „ფეიენოორდი“.

◎ კორტზე

ყველაფერი წარმავალია

დუბაის ტურნირის მეოთხედფინალში ჩეხ ირჟი ვესელისთან მოულოდნელი დამარცხება – 4:6, 6:7 ნოვაკ ჯოკოვიჩს ATP-ის კლასიფიკაციაში 361(!) – კვირიანი ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა.

მისი ადგილი რუსმა დანიილ მედვედევმა დაიკავა, თუმცა განვლილი კვირის მთავარ მოვლენად ბევრი **რაფაელ ნადალის** მიერ სეზონში მოხვეჭილ მესამე და კარიერაში 91(!)-ე ტიტულს მიიჩნევს.

ეს პოპულარულ მექსიკურ კურორტ აკაპულკოში მოხდა, სადაც დიდი სლემის ტურნირების 21-გზის ჩემპიონმა ესპანელმა ფენომენმა ნახევარფინალში სწორედ ახალ ყოჩს გადაუარა – 6:3, 6:3, ფინალში კი ასევე ორ პარტიაში დააშამათა ბრიტანელი კამერონ ნორი – 6:4, 6:4, არადა, ამ უკანასკნელმა მანამდე თვით სტეფანოს ციციპასს სძლია – 6:4, 6:4.

შეგახსენებთ, რომ ნადალი და მედვედევი ერთმანეთს იანვარში ავსტრალიის ღია პირველობის ფინალშიც შეხვდნენ და მაშინ მალიორკელმა გენიოსმა 0:2-ზე თითქმის უიმედო ბრძოლა შემოატრიალა, სულ კი მას 128 გადამწყვეტი რაუნდი უთამაშია და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 91-ე მოიგო!

 მოგონება

ეპოქალური პიროვნება – ქართველ მენავთობეთა პატრიარქი

რევაზ თევზაძის გახსენება

გასული წლის პირველ მარტს რევაზ თევზაძე გარდაიცვალა, ქართველ მენავთობეთა პატრიარქი, შრომის გმირი, საქართველოს საინჟინრო საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელი, აკადემიკოსი.

დღეს ერთი წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან.

ბატონი რეზოს, საქართველოში 35-წლიანი მოღვაწეობის პერიოდში, მრავალ თაობას ერგო ბედნიერება ემუშავა ამ უაღრესად საინტერესო და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელ დარგში. მისი წარმომადგენლები, დღესაც აქტიურად აგრძელებენ მუშაობას დარგის შემდგომი განვითარებისთვის და ყოველთვის დიდ პატივს მიაგებენ ბატონი რეზოს ნათელ ხსოვნას.



დღევანდელ დღეს ბევრი მოვლენის, ბრძოლისა და წარმატებული დღეების გახსენება შეიძლებოდა, რომელიც მთლიანობაში ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის. მაგრამ, ამჯერად გადავწყვიტეთ, უფრო მეტი კონკრეტულობით გადმოგვეცა იმ მოვლენების შესახებ, რომლებმაც უზრუნველყვეს უაღრესად მოკლე დროში, ჯერ დარგის პროგრესული განვითარება, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისი შენარჩუნება.

რევაზ თევზაძე 1973 წელს დაინიშნა ტრესტ „საქნავთობის“ ხელმძღვანელად. ეს იმ პერიოდში ხდება, როდესაც ნავთობისა და გაზის მრეწველობის საკავშირო სამინისტრო, უკვე იხილავს ამ საწარმოო ერთეულის გაუქმების საკითხს. რევაზ თევზაძე ითხოვს 6 თვეს, რათა სწორად იქნეს შეფასებული საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები და შესაძლებლობები. მაშინდელი რესპუბლიკის ხელმძღვანელის ე.შევარდნაძის მხარდაჭერით, მოსკოვი დგამს შემხვედრ ნაბიჯს და იწყება დაუღალავი, ღრმად გააზრებული, შემოქმედებითი მუშაობა. სწორად შერჩეული პროფესიონალთა გუნდი ამზადებს დარგის განვითარების მოკლევადიან და პერსპექტიული განვითარების გეგმას, აყალიბებს მკაცრად განსაზღვრულ ბიუჯეტს, რომლის დამტკიცების შემდგეგაც იწყება ფართომასშტაბიანი საოპერაციო სამუშაოები.

1974 წელი. დასავლეთ საქართველოში სუფსა-შრომისუბნის ნავთობის საბადოზე იბურღება პირველი ღრმა ჭაბურღილი, მიღებულ იქნა ნავთობის შადრევანი დებიტით 100 ტონა დღე-ღამეში. ეს პირველი გამარჯვება იყო.

იმავე 1974 წელს სამგორი-პატარძეულის საბადოზე, ასევე იბურღება ღრმა საძიებო ჭაბურღილი, რომელმაც 2600 მეტრის სიღრმეზე გახსნა შუა ეოცენური ნალექები, საიდანაც ასევე მიღებულ იქნა ნავთობის შადრევანი, იმდროისათვის წარმოუდგენელი დებიტით-1000 ტონამდე დღე-ღამეში. ეს კი უკვე დიდი გამარჯვება იყო, რომელმაც დასაბამი მისცა ახალი ეპოქის — რევაზ თევზაძის ეპოქის დაწყებას საქართველოს ნავთობის მრეწველობის განვითარების ისტორიაში.

მომდევნო წლებში ინტენსიური, დიდი მოცულობის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების (წელიწადში იბურღებოდა 100,000 გრძივი მეტრი) ჩატარების შედეგად ნავთობის მოპოვების წლიურმა მოცულობამ კულმინაციურ ზღვარს მიაღწია და 3,000,000 ტონას გადააჭარბა. ეს რამდენადაც მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო მაშინდელი საკავშირო ხელისუფლებისთვის, საქართველო ნავთობმომპოვებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. საჭირო იყო ამ ისტორიული პერიოდის სწორად შეფასება და გამოყენება ქვეყნის, საქართველოს განვითარების მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

სწორედ აქ გამოჩნდა ყველაზე მეტად რევაზ თევზაძის ნიჭი, ალღო, დიპლომატია და პატრიოტული დამოკიდებულება არამარტო დარგის, არამედ საკუთარი ქვეყნის მიმართაც. სასწრაფოდ მომზადდა წინადადება სამგორი-გაჩიანი-ბათუმის 530 მმ ნავთობსადენის მშენებლობის აუცილებლობის შესახებ, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება ქალაქ ბათუმამდე.

აქვე გვახსენდება ბატონ ე. შევარდნაძესთან შეხვედრის ერთ-ერთი ეპიზოდი:

— რეზო, მოსკოვი ამბობს, დღევანდელი მონაცემებით, თქვენს მიერ მოპოვებული ნავთობის გადატანას არ სჭირდება 530-მილიმეტრიანი ნავთობსადენიო.

— ბატონო ედუარდ, ეს დიამეტრი და მთლიანობაში ნავთობსადენი ჩვენი ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელი გახდება და ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს.

როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, უსიტყვო განხილვისა და შეპირებული მხარდაჭერის შედეგად, საკავშირო სამინისტრომ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება. დაიწყო ამ უაღრესად პერსპექტიული პროექტის განხორციელება.

დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადების პირველივე დღეებიდან, როდესაც უკვე აღარ გვქონდა საკავშირო დაფინანსება, ხოლო ქვეყნის ბიუჯეტი უსუსური იყო დახმარებოდა უაღრესად ფინანსურად ტევადი დარგის განვითარებას, სწორედ პირადად რევაზ თევზაძე იყო საქართველოში ერთ-ერთი პირველი, რომელმაც შეძლო უცხოელი ინვესტორების დაინტერესება და ინვესტიციების მოზიდვა.

პირველ ინვესტორთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა, სწორედ ზემოთაღნიშნული ნავთობსადენის რეაბილიტაციას და სუფსის ტერიტორიაზე ნავთობტერმინალის მშენებლობას, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფდა ადრეული ნავთობის შეგროვებას შემდგომი ექსპორტისთვის ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ჩატარებული იქნა დიდი მოცულობის კვლევითი, საპროექტო და მიწის მოსამზადებელი სამუშაოები.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ, ყველასთვის ნათელი გახადა, რევაზ თევზაძის როლი, იმ საუკუნოვანი პროექტების გააზრებასა და საფუძვლის ჩაყრაში, რომლებმაც განსაზღვრეს დამოუკიდებელი საქართველოს-სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა.

აუცილებლად უნდა გავიხსენოთ და დიდი მადლიერება გამოვხატოთ ბატონი რეზოს მიმართ თითოეული მენავთობის, მათი ოჯახების სახელით, იმ სოციალური პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც ყოველთვის ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი იყო.

აქაც გავიხსენებთ ერთ ეპიზოდს:

-ნავთობის მოპოვების და შესაბამისად შემოსავლების გაზრდამ, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, უზრუნველყო საბინაო მშენებლობის სწრაფი ტემპით განვითარება და თანამშრომლების მთლიანად დაკმაყოფილება საცხოვრებელი ბინებით. ერთ-ერთი განაწილების დროს, ე.წ. ბინის ორდერი გადაეცა ახალგაზრდა სპეციალისტ გოგონას, რომელსაც 6 თვის დამთავრებული ჰქონდა უმაღლესი სასწავლებელი და ცხოვრობდა უწყებრივ საერთო საცხოვრებელში. ასეთი მოულოდნელი სიხარულისაგან იგი ცუდად გახდა და გული წაუვიდა. ეს მართლაც ყველასათვის წარმოუდგენელი იყო.

ასეთი, კიდევ რამდენი სიხარულით სავსე და ბედნიერი დღეები გვახსოვს...

ყველას გვახსოვს 90-იანი წლების დასაწყისი: დანგრეული შენობები, უშუქობა, სიცივე და უმუშევრობა. სრული პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ „საქნავთობის“ არცერთი თანამშრომელი არ დარჩენილა დასაქმების გარეშე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოზიდული ინვესტიციების შედეგად, გაგრძელებულ იქნა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ყველა სპეციალისტი, კვალიფიციური თანამშრომელი გადანაწილდა იმ ერთობლივ საწარმოებში, რომლებიც შეიქმნა ნავთობის ერთობლივი კომპანია „საქნავთობისა“ და უცხოური ნავთობკომპანიების თანაბარი მონაწილეობით.

დასანანია, რომ დღეს ქართულ საზოგადოებას აღარ ჰყავს ისეთი გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ეპოქალური პიროვნება, როგორიც ბატონი რევაზ თევზაძე იყო.

აქ არ მთავრდება ჩვენი მოგონებები.

მომავალშიც დიდი მადლიერებით მოვიგონებთ და პატივს მივაგებთ ბატონი რეზოს უკვდავ ხსოვნას, მის ნათელ სულს და მოზიარე ვიქნებით იმ მწუხარების, რომელიც მისი გარდაცვალებით მძიმედ განიცადა ოჯახმა, შვილებმა, შვილიშვილებმა, მეგობრებმა, თითოეულმა ქართველმა მენავთობემ.

ყოფილი „საქნავთობის“ თანამშრომლები

სანთელი

თენგიზ ქავთარაძე, მიხეილ სალაძე, ბორის გოგიჩაიშვილი, გიორგი კანდელაკი, ნოდარ კურტანიძე სამძიმარს უცხადებენ სიმონ ჯიჯგიაშვილს დედის

ქეთევან ივანეს ასულ ქუმსიშვილ-ჯიჯგიაშვილის

გარდაცვალების გამო.

უკრაინის ომი საქართველოს საექსპორტო პოტენციალზე მნიშვნელოვნად აისახება

რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ლევან დავითაშვილის თქმით, ექსპორტში წიაღისეულისა და მინერალების მიმართულებით დივერსიფიცირება შედარებით მარტივი იქნება, სოფლის მეურნეობის პროდუქციაში კი რუსეთისა და უკრაინის ბაზრების ჩანაცვლება, რიგი მიზეზების გამო, უფრო გაჭირდება. მთავრობა კი თავის მხრივ ზიანის მაქსიმალურად შემცირებას ეცდება.

2021 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ რუსეთთან და უკრაინასთან ჯამში 2.398 მლრდ დოლარი შეადგინა — მთლიანი ბრუნვის 16.7%. უარყოფითმა სავაჭრო სალდომ ამ ორ ქვეყანასთან ჯამში 4564 მლნ შეადგინა. 2021 წლის მდგომარეობით, რუსეთი საქართველოს №2 სავაჭრო პარტნიორი იყო. ბრუნვამ 1.639 მლრდ დოლარი შეადგინა რაც ჯამური ბრუნვის 11.4%-ა. რუსეთი მეორე ადგილზე იყო ცალკე აღებულ ექსპორტშიც, სადაც მან 610 მლნ დოლარით 14.4%-იანი წილი დაიკავა, ხოლო იმპორტში 1.029 მლრდ-ითა და 10.2%-იანი წილით, ასევე მეორე ადგილზე გავიდა.

საქართველოდან რუსეთში ძირითადად გადის ფეროშენადნობი — 172 მლნ დოლარი, ღვინო — 132 მლნ დოლარი, მინერალური წყლები — 61 მლნ დოლარი, სპირტიანი სასმელები — 41 მლნ დოლარი და ხილი — 27 მლნ დოლარი. საიმპორტო პროდუქციაში ნავთობი, გაზი, ხორბალი და ზეთი ლიდერობს. უკრაინა 759 მლნ დოლარით (ჯამური ბრუნვის 5.3%) სავაჭრო პარტნიორებში 2021 წელს მე-6 ადგილზე გავიდა. ექსპორტმა გასულ წელს უკრაინაში 307 მლნ დოლარი შეადგინა, რითაც მან 7.2%%-იანი წილით მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო იმპორტმა 452 მლნ დოლარი და ამ შედეგით ის 4.5%-იანი წილით მე-7 ადგილზე გავიდა.

საგანმანათლებლო დაწესებულებები გვაქვს, მთავარია განათლების დონე

2021 წლის ბოლოსთვის, საქართველოში ფუნქციონირებდა 94 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის 42 საჯარო, ხოლო 52 კერძო. 2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 11 204 სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაგან 48.9 % ქალია, ხოლო 51.1 % — კაცი. 2020 წელთან შედარებით სტუდენტების მიღების მაჩვენებელი გაზრდილია 19.2 %-ით.

რეგიონების მიხედვით, ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობით ლიდერობს ქ. თბილისი (38.3 %), რომელსაც მოსდევს აჭარა (15.2 %), სამერელო-ზემო სვანეთი (11.0 %), იმერეთი (9.9 %), კახეთი (6.3%) და შიდა ქართლი (5.9 %).

2021 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 200 სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაგან 38.5% ქალია, ხოლო 61.5% — კაცი. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა ქ. თბილისში (46.5%), კახეთში (14.0%) და იმერეთში (9.5%). 2021 წელს, კურსდამთავრებულთა რიცხოვნობამ 6 775 სტუდენტი შეადგინა, რომელთაგან 49.8% ქალია, ხოლო 50.2% კაცი. კურსდამთავრებულთა უმეტესობა მოდის: ინჟინერია, წარმოება და მშენებლობის (23.6%), ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართლის (17.9%), ჯანდაცვის და სოციალური კეთილდღეობის (15.2%) პროგრამებზე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ გაზეთს აქვს განახლებული ვებ-გვერდი www.sakresp.ge

თქვენ საშუალება გეძლევათ, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილში გაეცნოთ გაზეთის ახალ ნომრებს, გამოიწეროთ იგი ელექტრონულად, განათავსოთ თქვენთვის სასურველი რეკლამა და სარეკლამო ბანერი.

გაზეთის სარეკლამო სივრცე გელით ყველას!

იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, გაიძლიერეთ სიცოცხლის რწმენა და იმედი!

103 წლის ყველაზე ქართული გაზეთი თქვენ გვერდითაა!

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

აზარტული თამაშების რეკლამა აიკრძალა

პრემიერის გადაწყვეტილების შესაბამისად და მიღებული კანონის თანახმად, 1 მარტიდან იკრძალება აზარტული თამაშების რეკლამა. 25 წლამდე მოქალაქეებს აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მიღება აეკრძალათ. ჯამში, აზარტულ თამაშებზე წვდომა 1 მილიონამდე სრულწლოვან ადამიანს შეეზღუდება.

ახალი რეგულაციების თანახმად: 2022 წლის 1 იანვრიდან, სექტორის დასაბეგრი ბაზა გაიზარდა 65-70%-ით.

1 მარტიდან აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მიღება აეკრძალათ 25 წლამდე მოქალაქეებს, სახელმწიფო შემწეობის მიმღებ სოციალურად დაუცველ პირებს, საჯარო მოხელეებს, პირებს, რომლებიც მიმართავენ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს თვითშეზღუდვის მექანიზმის გამოყენების მოთხოვნით, ასევე მათ, ვინც მოხვდებიან ე.წ. „შავ სიაში“ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ან ოჯახის წევრების მოთხოვნით. 1 მარტიდან, მკაცრდება კონტროლის მექანიზმებიც. აიკრძალა სათამაშო ბიზნესის სატელევიზიო და გარე რეკლამა, ასევე — რეკლამის განთავსება ქართულ ვებგვერდებზე. სათამაშო ბიზნესის ოპერატორებისთვის დასაშვებია მხოლოდ სპონსორობის ხელშეკრულების გაფორმება.

ი. ჭორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

სამხედრო ნაწილზე თავდასხმის შედეგად 70 უკრაინელი ჯარისკაცი დაიღუპა

სუმის ოლქის ქალაქ ახტირკაში რუსულმა ძალებმა სამხედრო ნაწილს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც 70-მდე უკრაინელი სამხედრო დაიღუპა, — ამის შესახებ „უნიანი“ სუმის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარეზე დმიტრი ჟივიცკიზე დაყრდნობით წერს.

„გუშინ მტრის არტილერიამ დაარტყა სამხედრო ნაწილს. ნანგრევებიდან ცხედრების ამოყვანა გრძელდება. მუშაობს საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახური და მოხალისეები. დაღუპული ბევრია. ახლა ამზადებენ საფლავებს. 70-მდე გარდაცვლილი უკრაინელი მებრძოლია“, — ნათქვამია საოლქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებაში.

რუსმა სამხედროებმა ხარკოვის ცენტრი დაბომბეს

რუსმა ოკუპანტებმა, ხარკოვის ცენტრში, სამხარეო ადმინისტრაციის შენობა დაბომბეს, — ინფორმაციას უკრაინის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური Telegram-ზე ავრცელებს.

„წინასწარი ინფორმაციით, დარტყმებია ხარკოვის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაზე, ოპერის თეატრზე, ფილარმონიასა და საცხოვრებელ კორპუსებზე (ძირითადად 4-5 სართულიან შენობებზე)“, — აღნიშნულია განცხადებაში. უკრაინის საგანგებო სიტუაციების სამსახური ვიდეოს ავრცელებს.

„დადგება დრო, როდესაც ომის ყველა დამნაშავე, ყველა შეშლილი დიქტატორი სასამართლოს წინაშე წარდგება“, — აღნიშნულია სამსახურის განცხადებაში. **„დაბომბვის შედეგად, 6 ადამიანია დაშავებული, მათ შორის ერთი ბავშვია. დაღუპულთა რაოდენობა დგინდება“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

55 წლის უკრაინელმა რუსი მაგნატის 7 მილიონი ევროს ღირებულების გემის ჩაძირვა სცადა!

უკრაინელმა მეზღვაურმა ესპანეთში, მალიორკაში 7 მილიონი ევროს ღირებულების იახტის ჩაძირვა სცადა, რომელიც რუს მაგნატს, „როსობორონექსპორტის“ აღმასრულებელ დირექტორს ალექსანდრე მიხეევს ეკუთვნოდა, — იუწყება ესპანური მედია.

სამოქალაქო გვარდიამ 55 წლის ტარას ოსტანჩუკი შაბათს დილით დააკავა მას შემდეგ, რაც კაცმა იახტაზე, რომელზეც 10 წლის განმავლობაში მუშაობდა, რამდენიმე სარქველი გახსნა, რამაც იახტის ნაწილობრივი დატბორვა გამოიწვია. დაკავებულმა მოსამართლეს უამბო, რომ გადაწყვეტილება ტელევიზიით უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის ამსახველი კადრების ხილვის შემდეგ მიიღო. კერძოდ, როდესაც ნახა, როგორ გაანადგურა რუსულმა რაკეტამ კიევში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი. კაცმა მოსამართლე დაარწმუნა, რომ იძულებული გახდა, მსგავსი ნაბიჯი გადაედგა, რადგან დღეს მაგნატის კორპორაციის იარაღი უკრაინელების წინააღმდეგ გამოიყენება.

როგორც ირკვევა, კაცმა დანარჩენ მეზღვაურებს, რომელთა უმეტესობაც უკრაინელი იყო, მძიმე კადრების ხილვის შემდეგ ბორტის დატოვება სთხოვა და განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, სარქვლების გახსნა დაიწყო. მეზღვაურები შეშფოთდნენ, რომ კაცი შეიშალა, მან კი კოლეგებს შეახსენა, რომ თავადაც უკრაინელები არიან, რომ მათ სამშობლოს თავს დაესხნენ და დასძინა, რომ მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს.

როდესაც ადგილზე პოლიცია მივიდა, მეზღვაურმა განაცხადა: „ამ გემის მეპატრონე კრიმინალია, რომელიც იარაღის გაყიდვით მდიდრდება, ახლა კი ისინი უკრაინელებს ხოცავენ“.

მოსამართლემ დაკავებულს არასაპატიმრო ღონისძიება განუსაზღვრა. მილიონერ ალექსანდრე მიხეევის იახტა — „ლედი ანასტასია“ — 48-მეტრიანი გემია და 2001 წელსაა აშენებული.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

ПОЛОР ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 4 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2054; ევრო - 3.5859;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2911;
100 რუბლი - 3.2024; თურქული ლირა - 0.2316;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8903;
1000 სომხური დრამი - 6.5879.

ამინდი 2 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+14
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+8,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge